MES 1 21 0001427063

28/12/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 14.12.2021
სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 22:00 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი
სხდომის მდივანი: მაკა კაჭარავა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
4. **ნიკა თიკანაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
5. **გიორგი ღაღანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
6. **დავით კაპანაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
7. **დიანა მჭედლიშვილი -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
8. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;

9. თამარ ჩხეიძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
10. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
11. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
12. ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
13. გაიოზ ფარცხალაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
14. ელენე ჟურავლოვა - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
15. ანა ფირცხალაშვილი - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;
16. ანზორ ბერიძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	ირმა გრძელიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**I, II, III,** IV, V, V**I,** V**II**
2.	ანასტასია ქიტიაშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამაგისტრო პროგრამის" გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია" ხელმძღვანელი;	**I, II, III,** IV
3.	ლუიზა არუთინოვი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამაგისტრო პროგრამის "ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასებადა კონსულტირება" ხელმძღვანელი;	**I, II, III,** IV
4.	თეონა ლოდია			

		სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამაგისტრო პროგრამის "ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასებადა კონსულტირება" თანახელმძღვანელი	**I, II, III,** I V
5.	მზია წერეთელი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამაგისტრო პროგრამის "განათლების ფსიქოლოგია" ხელმძღვანელი;	**I, II, III,** I V
6.	ია აფთარაშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამაგისტრო პროგრამის "განათლების ფსიქოლოგია" თანახელმძღვანელი	**I, II, III,** I V
7.	იამზე კუტალაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამაგისტრო პროგრამის "შრომის და ორგანიზაციის ფსიქოლოგია" ხელმძღვანელი	**I, II, III,** I V
8.	მაია რობაქიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	შრომის და ორგანიზაციის ფსიოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი;	**I, II, III,** I V
9.	სოფიო დოლოძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	შრომის და ორგანიზაციის ფსიოლოგიის ინსტიტუტის ასოც. პროფესორი	**I, II, III,** I V
10.	მანანა მელიქიშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**I, II, III,** I V
11.	თამარ მანაგაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი	**I, II, III,** I V
12.	ავთანდილ სილაგაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	აკადემიკოსი, პროფესორი	V, V**I, VII**
13.	იური ანანიაშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი	V, V**I, VII**
14.	სიმონ გელაშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი	V, V**I, VII**

15.	რევაზ გველესიანი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი	V, VI, VII
16.	ელგუჯა მექვაბიშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი	V, VI, VII
17.	მირიან ტუხაშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი	V, VI, VII
18.	ეთერ ხარაიშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი	V, VI, VII
19.	მალხაზ ჩიქობავა	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	V, VI, VII
20.	თეიმურაზ ბერიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი	V, VI, VII
21.	ნაზირა კაკულია	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	V, VI, VII
22.	ვლადიმერ პაპავა	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	აკადემიკოსი	V, VI, VII
23.	მარინა ჩავლეიშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	დეკანის მოადგილე	V, VI, VII
24.	მანანა ლობჟანიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	დეკანის მოადგილე	V, VI, VII
25.	ლევან საბაური	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის სამსახურის თანამშრომელი	V, VI, VII
26.	ია ნაცვლიშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის სამსახურის თანამშრომელი	V, VI, VII

27.	ნინო ტალიკაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის სამსახურის თანამშრომელი	V, VI, VII

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	ნათია ბადრიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II-III-IV
2	მზია თედიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II-III-IV
3	ქეთევან ბერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II
4	ნინო ჯოჯუა	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II
5	თეკლე ჩხეიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II
6	სალომე საბიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III-IV
7	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III-IV
8	ქეთევან ჩეკურიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III-IV
9	ეკა გეგეშიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V-VI-VII
10	მაია ბარამიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V-VI-VII
11	ნიკოლოზ ყაველაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V-VI-VII
12	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V-VI-VII
13	თამარ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V-VI-VII

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, მაკა კაჭარავას.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასებისა და კონსულტირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრაის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- დიახ

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს გააცნო სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წერილში ასახული შუამდგომლობა რომ ,,პოლიტიკის მეცნიერების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ საბჭოს მიერ 2021 წლის 3 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო მიმდინარე სხდომაზე, 2021 წლის 14 დეკემბერს, რათა ინსტიტუციამ განახლებული ინფორმაციით შეძლოს ანკეტა-კითხვარში ინფორმაცის ასახვა.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,პოლიტიკის მეცნიერების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად 2021 წლის 14 დეკემბრის მითითების შესახებ;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასებისა და კონსულტირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრაის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პირველი საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,პოლიტიკის მეცნიერების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად 2021 წლის 14 დეკემბრის მითითების შესახებ;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა - ელენე ჟურავლოვამ.
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ლალი ოდიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან შემოსული კორესპონდენცია, რომელითაც წარმოდგენილი იყო შუამდგომლობა. 2022 წლისთვის სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას საბაკალავრო პროგრამაზე - პოლიტიკის მეცნიერება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), რომლის აკრედიტაციის საკითხი განიხილებოდა 2021 წლის 3 დეკემბრის სხდომაზე. მიღების გამოცხადების ბოლო ვადა არის 14 დეკემბერი. იმისათვის, რომ უნივერსიტეტმა შეძლო სანკეტა-კითხვარში ამ პროგრამის აკრედიტებული სტატუსით მითითება, მოგმართავთ თხოვნით, პროგრამის აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილების თარიღად განსაზღვროთ დღევანდელის ხდომის თარიღი.

საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წერილში ასახულ შუამდგომლობას რომ ,,პოლიტიკის მეცნიერების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ საბჭოს მიერ 2021 წლის 3 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო მიმდინარე სხდომაზე, 2021 წლის 14 დეკემბერს.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის საბჭომ გადაწყვიტასსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წერილში ასახულ შუამდგომლობას რომ ,,პოლიტიკის მეცნიერების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2021 წლის 14 დეკემბრიდან.

მეორე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	26.07.2012 გადაწყვეტილება № 262
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313 - ფსიქოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ი.ჭავჭავაძის გამზ 11ა, თბილისი, 0179 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

მესამე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	განათლების ფსიქოლოგია

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11.11.2011 გადაწყვეტილება № 290
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	განათლების ფსიქოლოგია და კვლევა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313 - ფსიქოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ი.ჭავჭავაძის გამზ 11ა, თბილისი, 0179 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს გიორგი ღაღანიძემ და ნინო ჭალაგანიძემ.
საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ საბჭოზე დაინტერესებულ მხარეებს შესთავაზა ვინაიდან, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის" და "განათლების ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები შეაფასა ერთმა ექსპერტთა ჯგუფმა, ორივე პროგრამა განეხილათ ერთად და აკრედიტაციის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებითაც ერთი შესვენების ფარგლებში ემსჯელათ.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნათია ბადრიშვილმა ისაუბრა პროგრამის დადებით მხარეებზე და აღნიშნა, რომ ხდებოდა პროგრამის შედარება საერთაშორისო პროგრამასთან, ასევე საერთაშორისო ექსპერტების ჩართვა პროგრამის განხორციელებაში.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია დასწრების ქულა შეიცვალოს აქტივობის ფორმით და აქტივობისთვის განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები;
2. რეკომენდებულია გასწორდეს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები F/FX შეფასებასთან მიმართებაში და გაიწეროს N3 ბრძანების მუხლი 4.19-ის მიხედვით;
3. საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის განვითარების მიზნით, კვლევები ჩატარდეს კონკრეტულ პროგრამასთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა მელიქიშვილმა ისაუბრა რეკომენდაციებზე და აღნიშნა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია შეეხებოდა სამაგისტრო დებულებაში F/FX, რასაც იზიარებს დაწესებულება. მისი თქმით აღნიშნული ხარვეზი შესაძლოა გამოეწვია იმ ფაქტს, რომ ბოლო წლების განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც სამაგისტრო ნაშრომი უარყოფითად შეფასდა, რისი მიზეზიც არის ის, რომ ინსტიტუციას აქვს ნაშრომის წინასწარი დაცვა, ხოლო თუკი წინასწარ დაცვაზე სამაგისტრო ნაშრომი არ არის მზად, ის ვერ გადის საბოლოო დაცვაზე, შესაბამისად აღნიშნული რეკომენდაციით განსაზღვრული გარემოება გამოსწორდება ინსტიტუციის მიერ.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ანასტასია ქიტიაშვილმა განმარტა, რომ კვლევები, რომლებიც წარმოადგინა ინსტიტუციამ, ეს იყო კურსდამთავრებულების, სტუდენტების და დამსაქმებლების. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, შესაძლოა საბაკლავრო პროგრამიდან იყოს გამოწვეული აღნიშნული რეკომენდაცია, თუმცა განსახილველი პროგრამის შესახებ პროგრამის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი იყო კვლევა, რომელეიც შეეხებოდა უშუალოდ აღნიშნულ განსახილველ პროგრამას. ყველა კვლევა, რომელიც რეაკრედიტაციის ფარგლებში იყო წარმდგენილი ჩატარდა "გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან "გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო პროგრამის შესახებ და ამავე პროგრამის დამსაქმებლებთან. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მხოლოდ 2 კურსს აქვს ცალკე გამოყოფილი დასწრება- "პოლიტიკური კომუნიკაციის ფსიქოლოგია", რაც შეიძლება განხილულ იქნეს სილაბუსის ავტორთან და თუ შესაძლებელია, მოდიფიცირდება და "პრაქტიკა", რაც გულისხმობს პრაქტიკის ობიექტზე დასწრებას. ეს უკანასკნელი პრაქტიკის განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია. სხვაკურსებშიმითითებულიადასწრება/აქტიურობა, რაც ცალკე მხოლოდ დასწრების აღრიცხვას არ გულისხმობს, არამედ აქტიურობასთან ერთად მოიაზრება. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით ეს სასწავლო კურსები პრაქტიკულია და საჭიროებს პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულებას, გამოყენებითი სოციალური ინტერვენციების განხორციელებას, ტექნიკებისა თუ ინსტრუმენტების დემონსტრირებას, შემთხვევათა განხილვას და ა.შ. შესაბამისად, დასწრება/აქტივობის ინსტიტუციის მოსაზრებით მნიშვნელოვანია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ ექსპერტები გულისხმობდნენ კვლევას უშუალოდ ხარისხთან მიმართებაში, როგორიც არის აკადემიური მოსწრება და სტუდენტების მე-14 დანართში წარმოდგენილი კვლევები. ასევე, მისი თქმით ექსპერტები დასწრებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაში ნაგულისხმევი იყო ის რომ აღირიცხოს, თუმცა არ დაიწეროს დასწრების ქულა.
ექსეპრტმა, ნინო ჯოჯუამ განმარტა რომ დასკვნაში იყო აღნიშნული, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებით ჩანდა დაწესებულების მიერ ჩატარებული დიდი მოცულობის კვლევები, თუმცა, რეკომენდაცია მიმართული იყო იქითკენ, რომ წარმოდგენილი იყო დანართი 8, რომელშიც იყო დამსაქმებელთა გამოკითხვა აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებაში, დანართ 14-ში წარმოდგენილი იყო კურსდამთვარებულების მიერ აღნიშნული პროგრამის შეფასება, თუმცა სწავლების პროცესში წარმოდგენილი კითხვარები, შეეხებოდა ბაკალავრიატის საფეხურს. ექსპერტის თქმით, აღნიშნულ ფაკულტეტს აქვს, რამდენიმე სამაგისტრო პროგრამა, რომელთა კვლევებიც იყო წარმოდგენილი, თუმცა კონკრეტულად განსახილველი სამაგისტრო პროგრამის არა. შესაბამისად ექსპერტების რეკომენდაცია და რჩევა შეეხებოდა იმას, რომ კონკრეტულად აღნიშნული პროგრამასთან დაკავშირებით შეესწავლა წამოჭრილი პრობლემა და გასაუმჯობესებელი საკითხები ინსტიტუციას.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ ინსტიტუციისთვის ყველა რეკომენდაცია ღირებული იყო ვინაიდან, ამას ინსტიტუცია უყურებდა ისე, როგორც პროცესის გასაუმჯობესებელ საშუალებას. კვლევებთან მიმართებაში, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ტარდებოდა კვლევევბი, რომლებიც მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით ხორციელდებოდა, ხოლო ამ კვლევების შედეგები ხელმისასწვდომი იყო ექსპერტებისათვის. კონკრეტულად, რომელიმე სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაციასთან დაკავშირებით ინტენსიურად მუშაობს კომიტეტი, ასევე პროგრამის ხელმძღვანელს მჭიდრო კავშირი აქვს თავისი პროგრამის კურსდამთავრებულებთან, ასევე პროგრამის სტუდენტებთან, ხოლო, კვლევა იმ მეთოდოლოგიით, რომელსაც მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით ატარებს ინსტიტუცია ცალკეული პროგრამებისთვის ხშირ შემთხვევაში არ არის საჭირო, რადგან სტუდენტებთან და კურსდამთვრებულებთან არის აქტიური. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ერთი ტიპის მეთოდოლოგიის გათვალისწინება ყველა პროგრამისათვის, არ იყო მიზანშეწონილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ კითხვით მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს და აღნიშნა, რომ მიღების წინაპირობაში ეწერა გასაუბრება ინგლისურ ენაში. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რომელი დონე იყო ნაგულისხმევი, იყო თუ არა ეს შეფასებითი კომპონენტით აღჭურვილი და რამდენად იყო გამართლებული გასაუბრება და არა წერითი გამოცდა.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაში ჩადებული იყო არჩევითი სასწავლო კურსის „ზოგადი მენეჯმენტი“ სილაბუსი. საბჭოს წევრი დაინტერესდა, როტომ იყო ზოგადი მენეჯმენტი და არა ადამიანური რესურსების მართვა, რადგან საბჭოს წევრის თქმით, აღნიშნული კურსი თავისი შინაარსით ვერ ფარავდა ზოგადი მენეჯმენტის საკითხებს. საბჭოს წევრის მოსაზრებით, სწავლის შედეგები უცნაურად იყო ფორმულირებული, სტანდარტული მიდგომის გარეშე. მისი თქმით, თუკი ცოდნა გაცნობიერების ქუდქვეშ შემავალი უნარების გაშლა პროგრამის ჯგუფმა გადაწყვიტა აქტიური ზმნებით, მაშინ პრაქტიკული უნარები რატომ იყო წარმოდგენილი „ შეუძლიათი“, რატომ არ იყო ეს წარმოდგენილი იგივე მიდგომით. საბჭოს წევრი დაინტერესდა ინსტიტუციის მოსაზრებით ამასთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრი, დიანა მჭედლიშვილი დაინტერესდა, რამდენად იყო მე-2 და მე-3 რჩევა, რჩევის შინარსის მატარებელი, რადგან ერთი შეეხეებოდა, პრაქტიკის კურსის სილაბუსში ისეთი მნიშვნელოვანი ნაწილის გამოკვეთას, როგორც იყო განსახორციელებელი აქტივობების მიზანი, შინაარსი, საშინაო დავალების ინსტრუქციაა. მისი თქმით ასევე მნიშვნელოვანი იყო მესამე რჩევის შინაარსი, რადგან შეეხებოდა, რომ პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის

მემორანდუმი/ ხელშეკრულება ითვალისწინებდეს პრაქტიკის მიზანს, ხანგრძლივობას და სტუდენტების რაოდენობას. საბჭოს წევრმა, ასევე ხაზი გაუსვა, რომ შედეგებთან მიმართებაშ ეთანხმებოდა საბჭოს წევრის ეკატერინე ნაცვლიშვილის მოსაზრებას და აღნიშნა, რომ შედეგების ფორმულირება თითქოს არ იყო მორგებული სპეციფიკას. საბჭოს წევრი, ასევე დაინტერსდა კურიკულუმის რუკასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ იყო სასწავლო კურსები, რომლებიც პროგრამის ყველა შედეგზე გადიოდა, თუმცა მისი თქმით, ერთი სასწავლო კურსი, რომ გადის ყველა შედეგზე, გადის ერთი და იმავე დონით და საინტერესო იყო თუ როგორ აიხსნებოდა ეს. ასევე საბჭოს წევრი დაინტერესდა ლიტერატურასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ წარმოდგენილ ლიტერატურაში ჭარბობდა წინა საუკუნის ლიტერატურა, მისი თქმით საინტერესო იყო თუ რამ გამოიწვია აღნიშნული. საბჭოს წევრმა, ასევე აღნიშნა, რომ 5 ბლოკი იყო არჩევითი, ის დაინტერესდა რა პრინციპით ირჩევდა ეს იყო კონცენტრაციები თუ უბრალოდ იყო დალაგებული არჩევით ბლოკებად და სტუდენტს შეუძლია აიღოს თითოეული ბლოკიდან სხვადასხვა საგნები, თუ აუცილებელია იქნებოდა მხოლოდ ერთი ბლოკიდან აეღო საგნები.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ კითხვით მიმართა ინსტიტუციას და აღნიშნა, რომ განიხილებოდა „გამოყნებითი ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამა, თუმცა ექსპერტების მიერ იყო განმარტებული, რომ სხვა პროგრამებში გამოყენებული სტუდენტური გამოკითხვის მეთოდები, რომლებიც აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებაში წარმოდგენილი არ იყო. საბჭოს წევრი დაინტერესდა, რომ მიდგომა, რომელიც ჰქონდა ინსტიტუციას, გამოწვეული იყო სტუდენტების რაოდენობიდან, თუ კიდევ იყო სხვა სპეციფიკა, რის გამოც გამოკითხვის ისეთი მეთოდები, რომელიც სხვა პროგრამებთან მიმართებით იყო გამოყენებული აღნიშნულ პროგრამაზე არ იყო წარმოდგენილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, უპასუხა დასმულ შეკითხვებს და განმარტა, რომ პრაქტიკასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფსაც ჰქონდა შეკითხვები ვიზიტის დროს, რაზეც განმარტებული იყო, რომ პრაქტიკა შეიძლება შეცვალოს, სტუდენტმა შესაძლებელია სხვადასხვა ადგილას გაიაროს პრაქტიკა, შესაბამისად ზუსტად გაწერილი მიზანი ვერ ექნება ინსტიტუციას. მორგებული უნდა იყოს პრაქტიკის გეგმა და მიზანი იმ ორგანიზაციის მიზნებთან და შინაარსთან, სადაც სტუდენტი გაივლის პრაქტიკას. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა, ამასთან დაკავშრებით შეიმუშავა რჩევა და არა რეკომენდაცია. ექსპერტის თქმით იგივე შეეხებდა მემორანდუმებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანასტასია ქიტიაშვილმა უპასუხა გაჟღერებულ შეკითხვებს და განმარტა, რომ პროგრამას 2009 წლიდან ჰქონდა მუდმივი მიღება და საწყის წლებში, ინსტიტუციას ჰქონდა წერითი სტანდარტიზებული ინგლისურენოვანი გამოცდა, რომლითაც საერთო ჯამში არ იყო კმაყოფილი ინსტიტუცია, რადგან საჭირო იყო სტუდენტებს სპეციფიკურად ესმოდეთ და აანალიზებდნენ ფიქოლოგიურ ტექსტებს. ინსტიტუციამ შეცვალა წერითი გამოცდის სისტემა და დაწესებულების წარმომდგენლის თქმით გაწერილიც იყო, რომ გასაუბრებას ჰქონდა 20%, გადის დახლოებით B2 დონეზე და ფორმალიზებულია. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, გასაუბრების პრაქტიკა კარაგად მუშაობდა.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ დააზუსტა, თუ სად იყო გაწერილი გასაუბრების აღნიშნული მინიმალური ზღვარი და დაწესებულების წარმომადგენლის მიერ ჩამოთვლილი დეტალები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა მელიქიშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული საკითხები გაწერილი იყო ანკეტა-კითხვარში. დაწესებულების წარმომადგენელმა ანასტასია ქიტიაშვილმაა დაამატა, რომ კონსულტაციების დროს, რომელსაც მართავს ინსტიტუცია მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით, ასევე იყო გაწერილი დეტალურად. რაც შეეხება ზოგადი მენეჯმენტის საკითხებს, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სოციალური ფსიქოლოგია ძალიან ფართოა და ის ბევრ სხვადასხვა სპეციალობას მოიცავს, ის საკითხები, რომლებიც არის საჭირო გამოყენებითი სოციალურ ფსიქოლოგიაში, ძალიან ყურადღებით არის განხილული სილაბუსის ავტორთან, რომელიც წარმოადგენს შრომის და ორგანიზაციის

ფსიქოლოგიას, შესაბამისად არის შერჩეული საკითები. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ადამიანური რესურსების მართვაც შედის აღნიშნულ საგანში იმ კონცენტრაციით, რომელსაც პრაქტიკა აჩვენებს, რომ სჭირდებათ გამოყენებით სოციალურ ფსიქოლოგებს, უფრო ღრმად კი ისინი შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიაზე გადიან, ხოლო თუკი სტუდენტები დაინტერესდებიან არი სრულიად თავისუფალი 15 კრედიტი და მათ შეუძლიათ უფრო მეტად გაიღრმავონ ცნობიერება ადამიანური რესურსების მართვის კუთხით. სწავლის შედეგებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ზმნების ფორმების ზედმეტი სტანდარტირება არაფერს მატებს პროგრამას, მისი თქმით უფრო მეტად შედეგების სახით იყო ჩამოწერილი პრაქტიკული უნარები, ხოლო აქტიური ზმნებით იყო გაწერილი ცოდნა და გაცნობიერება. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ინფორმაცია თუ რა ტიპის პროფესიონალები მზადდება ამ ტიპის ფორმულირებებით გასაგებია.

საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა დააზუსტა, რომ კითხვა დასმული იყო იმ ჭრილში, რასაც ზმნებთან დაკავშირებით აკრედიტაციის სტანდარტი ითხოვდა. საბჭოს წევრის თქმით, აღნიშნული ფორმულირების გამო რიგ შემთხვევაში არის ტექნიკური აღრევები. მაგლითად ცოდნა-გაცნობიერებაში, რიგ სილაბუსებში მოხვედრილია: შეფასება, აფასებს, ადარებს, რაც საბჭს წევრის თქმით არ იყო ცოდნა. საბჭოს წევრის თქმით, ზოგადი მენეჯმენტის სილაბუსში შინაარსობრივი თვალსაზრისით ის თემები იყო განხილული, რაც პროგრამისთვის იყო რელევანტური და სტუდენტს დააინტერესებდა, თუმცა მისი თქმით კითხვა შეეხებოდა, თუ რამდენად რელევანტური იყო კურსის დასახელება მის შინაარსთან.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სასწავლო კურსი არ მოიცავს სრულად ყველა საკითხს, რომელიც ზოგად მენეჯმენტს შეეხება, რადგან თავად სილაბუსი აკონკრეტებს საკითხებს, რომელიც განხილულია სასწავლო კურსში. კურსის სახელწოდება, შერჩეულ იქნა სფეროს სპეციალისტებთან ერთად. სასწავლო კურსი, არ მოიცავს ყველა საკითხს ზოგადი მენეჯმენტიდან, მაგრამ არ სცილდება ზოგად მენეჯმენტს. კურიკულუმის რუკასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საგნები, რომელიც კრავს პროგრამას და არის ძალიან მნიშვნელოვანი და საყრდენი გადის ყველა შედეგზე. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, შედეგები სწავლის დოენეების მიხედვით იყო გაწერილი.

ექსპერტთა თავმჯდომარემ კურიკულუმის რუკასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ეთანხმებოდნენ ინსტიტუციას და ექსპერტებს არ დაუფიქსირებიათ რაიმე ისეთი ხარვეზი, რაზეც საჭირო იქნებოდა ყურადრების გამახვილება ამ კუთხით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანასტასია ქიტიაშვილმა ლიტერატურასთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროგრამას ჰქონდა განახლებული ლიტერატურა და თანამედროვე ტენდენციებს მორგებული. თუმცა ასევე მითითებულია კლასიკოსები, რომელთა უარყოფაც დაწესებულების წარმოამდგენლის თქმით შეუძლებელია. კონცენტრაციებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული არ იყო კონცენტრაციები, ინსტიტუციამ არ გააკეთა კონცენტრაციები, რადგან საწყის პროგრამაში იყო კონცენტრაციები, რაც იყო საკმაოდ მოუქნელი, ამიტომ მოგვაინებით გაუქმდა. კველვებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ჰყავდათ 15 კაციანი ჯგუფები, რომლებთანაც, როდესაც უფრო მეტად ხდება ფოკუს ჯგუფის განხილვა. გამოკითხვა არ ტადება 15 კაციან ჯგუფთან, რადგან ეს ტენდენციებს არ აჩვენებს, ამიტომ ინსტიტუცია ძირითადად ეყრდნობა ფოკუს ჯგუფის მეთოდს, რომელსაც წლის ბოლოსთვის ატარებს. ასევე არის მუდმივი უკუკავშირი რასაც ითვალისწინებს ინსტიტუცია, დაგეგმვისას, ცვლილებების დროს და რეაკრედიტაციისას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ განმარტა, რომ კვლევის მეთოდოლოგია ხშირ შემთვევაში განსხვავდებოდა სტუდენტების რაოდენობის მიხედვით. მისი თქმით, არსებობდა ბევრი ინდიკატორი, რომლის მიხედვითაც აფასებდა ინსტიტუცია საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებას, მათ შორის იყო გამოკითხვები, აკადემიური მოსწრების ანალიზი და ეს უკავშირდებოდა ჯგუფის ზომას. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ინსტიტუცია თანამშრომლობდა შოტლანდიურ ორგანიზაციასთან, რომელიც

ეხმარებოდა კურსის წარმომადგენლებთა მომზადებაში. მისი, განმარტებით ასევე ტარდებოდა გეგმიური ტიპის კვლევები (გამოკითხვები კურსის შესახებ, გამოკითხვები პერსონალის შესახებ და ა.შ).

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. ჩატარდეს სისტემური ხასიათის შრომის ბაზრის ანალიზი;
2. კურიკულუმის რუკაში გადაიხედოს სწავლის შედეგების და სწავლის დონეების შესაბამისობა „პრაქტიკა – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან“ - თან მიმართებაში;
3. რეკომენდებულია დასწრების ქულა შეიცვალოს აქტივობის ფორმითა და აქტივობისთვის განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები;
4. რეკომენდებულია გასწორდეს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და გაიწეროს N3 ბრძანების მუხლი 4.19-ის მიხედვით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღანელმა, ია აფთარაშვილმა, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ კვლევა იყო ინსტრუმენტი და არა თვითმიზანი. მისი თქმით, კვლევები საჭიროა იმისათვის, რომ პროგრამამ მიიღოს უკუკავშირი ბაზრის მოთხოვნებთან დაკავშირებით, მაგალითად რა პროფესია რა გამოწვევების წინაშე დგას, ასევე რა არის ახალი ცოდნები და სხვა კონკრეტული მიზნები, თუმცა პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, შრომის ბაზრის სიტემური ანალიზი არის კომპლექსური კვლევა, რომელიც ეროვნულ დონეზე ტარდება, რადგან შრომის ბაზრის ანალიზში ძირითადად შედის მაგალითად უმუშევრობის და დასაქმების სტატისტიკა, სექტორული ანალიზი. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სცილდება იმ მიზნებს, რაც პროგრამის განვითარებას სჭირდება. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში დაკომპლექტებული იყო ყველა საკვანძო ექსპერტული მიმართულების პირის ჩართულობით, რომელიც მუდმივად იყო პრაქტიკული და პროფესიული თვალსაზრისით იყო შემხებლობაში შესაბამის სფეროებთან. გარდა ამისა, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, წარმოდგენილი იყო ყველა კვლევა, რომელიც პროგრამის განვითარებას სჭირდებოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე ხაზი გაუსვა, რომ ეს იყო განათლების ფსიქოლოგიის პროგრამა, რაც ნიშნავდა იმას, რომ შეისწავლიდა სწავლებასთან ან სწავლასთან დაკავშირებულ საკითხებს, თავისი სამაგისტრო ნაშრომების ფარგლებში. ერთ-ერთი ნაშრომი შეეხებოდა სწორედ დანერგილი კურიკულუმის თავსებადობას, შედეგებს და ა.შ სწავლა-სწავლების პროცესების ჭრილში. დაწესებულების წარმომადგლის თქმით, შრომის ბაზრის ანალიზი იმ მოცემულობით, რაც სჭირდება პროგრამის განვითარებას წარმოდგენილი იყო. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები საჭირო იყო, რადგან ყველა იმ საკითხს გაესვა ხაზი, რაც სისტემასთან ხშირად არის შეუთავსებელობაში. მისი თქმით, ნებისმიერი კურსი, რომელიც შემუშავებული იყო სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ეყრდნობოდა 3 მნიშვნელოვან კრიტერიუმს: 1) კოგნიტური სქემების შეცვლა. 2) ქცევებში გადატანა. 3) საკუთარ რწმენებად, წარმოდგენებად ჩემს მსოფლმხედველობად გადაქცევა. დაწესებულების წარმომადგემლის თქმით, თითოეული კურსი იყო აღნიშნული მიმართულებების მიხედვით. პრაქტიკაში უფრო მეტად იყო გაძლიერებული მე-2 და მე-3 ელემენტი, რადგან თეორიული

ცოდნა და კოგნიტური სქემების ფორმირება დეკლარატიულ ცოდნებზე და მსგავს ინფორმაციულ დაყრდნობით იყო უფრო თეორიულ კურსებში ჩადებული და მანამდე მიღებულ ცოდნაში. უშუალოდ კურსთან და რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, შეფასება გაიგივებული იყო ტესტირებასთან. მისი თქმით, შეფასება ეს იყო ციკლი, რომელიც ნამდვილად გამოაცალკევებს, მხოლოდ ტესტირებას და შემოწმებას, რადგან პირდაპირ იყო მითითებული, რომ არ შეიძლებოდა ეს ჩათვლილიყო, თუ რამდენად მოსწავლის და კვლევის შეფასების საფუძველზე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეფასება არ ასახავდა აღნიშნულ შინაარს. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება იყო შეფასების ის ნაწილი და არა შემაჯამებელი აქტი. შეფასება არ შედგება კულმინაციური აქტებისგან, შეფასება არის ციკლი, რომლის თითოეული ეტაპი მუდმივ კავშირშია წინა ეტაპებთან. გარდა მულტიდისციპლინური ცოდნისა, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით შეუძლებელია არ იცოდე შეფასების არსი და ისე დაწერო მოცემულ მასალებზე. მისი განმარტებით, თსუ-ს ფარგლებში შემუშავდა რიდერები და ხელმისაწვდომია ის თავი, რომელსაც ასწავლიან კურსის ფარგლებში, სანამ პრაქტიკაზე მოვა სტუდენტი. შეფასების დიზაინში გაწერილია მულტი სტრუქტურული, მულტი სეგმენტური, მულტი სიტუაციური, მულტი ფაქტორული და მულტი აფექტური. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, თუკი არ იცის დიზაინი, კონცეფცია თუ როგორ დგება შეფასება, შეუძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მნიშვნელოვანი იყო აპელაცია იმაზე, რომ ბრძანება N3-ის თანახმად ფასდება სტუდენტის აკადემიური მოსწრება. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, აქაც საკითხი შეეხებოდა ტერმინთა სხვადასხვაობას, რადგან აკადემიური მოსწრება არ გადიოდა კოგნიტურ განვითარებაზე. თანამედროვე სწავლა-სწავლების დიზაინი ამბობს, რომ არის 6 გლობალური ფუნქციური უნარი, რომელიც სჭირდება 21-საუკუნის მოქალაქეს და ნებისმიერი ცოდნა უნდა ჩაშენდეს აღნიშნულ უნარებში. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დასწრება იყო ყველა იმ საგანში, სადაც იყო პრაქტიკა და იზომებოდა 6 გლობალური ფუნქციური უნარი, არა როგორც ინდივიდზე მიბმული, არამედ როგორც უნარი, რომელშიც ისინი არიან ჩართულები. დასწრების აღნიშნული მცირე კომპონენტი, კოლაბორაციის და კომუნიკაციის, როგორც გლობალური გრძელვადიანი მიზნების გასაზომად სპეციალურად შემოიტანა ინსტიტუციამ. სწავლის კონცეფცია ეყრდნობა 6 გლობალურ ფუნქციურ უნარს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დასწრების ქულა იყო მხოლოდ 3 სილაბუსში, რომელიც შეეხებოდა პრაქტიკას. მისი თქმით დანარჩენ სილაბუსებში არ იყო დასწრების ქულა გამოყოფილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა მელიქიშვილმა, განმარტა, რომ თავად იყო ერთ-ერთი სილაბუსის ავტორი სადაც იწერებოდა დასწრების ქულა, რაც გამომდინარეობდა იქიდან, რომ სასწავლო კურსში იყო მხოლოდ სემინარი და ორი პრაქტიკული მეცადინეობაა. მიმდინარეობს ჯგუფური მუშაობა, სადაც ისწავლებოდა ჯგუფის წაყვანა და მართვა, რისი ერთ-ერთი წესიც არის დასწრება. ვერ შედგება ჯგუფი, თუ არ იქნება დასწრება. თუკი ერთ-ერთი წევრი გამოაკლდება დაირღვევა ჯგუფის მთლიანობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ია აფთარაშვილმა განაცხადა, რომ მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლების პოზიცია იგივე იყო, რაც "გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ კითხვით მიმართა ინსტიტუციას და აღნიშნა, რომ გაეცნო რამოდენიმე სამაგისტრო ნაშრომს, სადაც ბიბლიოგრაფიის ნაწილში ყველა ლიტერატურა იყო ინგლისურ ენაზე, რაც საბჭოს წევრის შეფასებით ერთის მხრივ იყო კარგი თუმცა, საინტერესო იყო განათლების მიმართულებით თუ განხორციელებულა ქართულენოვანი კვლევები, რათა

ნაშრომებში ყოფილიყო გამოყენებული, ვინაიდან საუბარი იყო განათლების სისტემაზე. საბჭოს წევრი, ასევე დაინტერესდა სტრუქტურასთან დაკავშირებით, თუ რომელი საგანი უვითარებს სტუდენტს კვლევის უნარებს, იმისათვის რომ მან სრულფასოვნად მაღალი ხარისხით შეასრულოს სამაგისტრო ნაშრომი.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, აღნიშნა, რომ „კომუნიკაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენების“ სილაბუსი თავისი შინაარისთ გადიოდა პრაქტიკულ უნარებზე და ფაქტობრივად მისი მიზანია გამოუმუშაოს სტუდენტს მოსმენის, აუდიტორიასთან კომუნიკაციის, საჯარო გამოსვლის უნარი და ა.შ. საბჭოს წევრის თქმით, შეფასების კომპონენტში შეთავაზებული იყო საინტერესო დავალებები და ასევე შუალედური გამოცდა ტარდებოდა ზეპირი ფორმით, თუმცა დასკვნითი გამოცდა ტარდებოდა წერილობით, ღია კითხვებით და ესეს საშუალებით, ხოლო შეფასების კრიტერიუმები დასკვნით გამოცდაზე ზოგადად იყო გაწერილი. საბჭოს წევრის დაინტერესდა, თუკი პრაქტიკულ უნარებზე გამსვლელი სასწავლო კურსი იყო და სწორი იყო შუალედური გამოცდის ზეპირად შეფასება, ფინალურზე რატომ იყო გადაწყვეტილი ესეს საფუძველზე შეფასდეს საჯარო გამოსვლის ან სხვა უნარები.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ ბევრი სასწავლო კურსი გადიოდა პროგრამის შედეგზე. ყველა სასწავლო კურსი შედგებზე გადიოდა ერთი და იმავე დონით. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ როგორი იყო ამასთან დაკავშირებით დაწესებულების პოზიცია. სანჭოს წევრი, ასევე დაინტერესდა შედეგების ფორმულირებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ იყო სილაბუსები სადაც კონკრეტული შედეგი ბუნდოვანი იყო შეფასდეს შეფასების კომპონენტებით, რაც სილაბუსში იყო. საბჭოს წევრმა, ასევე დაამატა, რომ სილაბუსებში მითითებული იყო ძველი ლიტერატურა და დაინტერესდა, თუ რითი იყო გამოწვეული აღნიშნული.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ინსტიტუციასთან ერთად სათითაოდ განიხილა კურიკულუმის რუკა და განსაკუთრებული დარღვევა ვერ ნახა ექსპერტთა ჯგუფმა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ია აფთარაშვილმა, განმარტა, რომ პროგრამის ყველა სავალდებულო საგანი შესაძლებელია გამოტანილი არ იყოს კონკრეტულად შეფასების კრიტერიუმებში, მაგრამ ყველას საფუძვლად უდევს ისეთი ტიპის შეფასების სტრუქტურა, რომელიც თავისი არსით არის კვლევითი. ყველა სავალდებულო საგანი ორიენტირებულია კვლევითი უნარების ჩამოყალიბებაზე. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ყველა სავალდებულო საგანი გადის კვლევის ეტაპების იმ გზას, რაც უნდა გაიაროს. სავალდებულო საგნები შერჩეულია იმ მოცემულობით, რომ მთლიანობაში, როდესაც ყველა სავალდებულო საგანი ექნება სტუდენტს გავლილი, მზად იყოს სამაგისტრო ნაშრომის დამუშავებისათვის.

რაც შეეხება ქართული კვლევების არსებობას, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს იყო ზოგადი პრობლემა. მისი თქმით, კარგი და პრიორიტეტული კვლევა იყო ის, რომელსაც ჰქონდა კარგი კონცეპტუალური ჩარჩო. შესაბამისად, ამას ექცევა ინსტიტუციის მხრიდან დიდი ყურადღება. თუმცა, თუკი სამაგისტრო ნაშრომში არის ქართული კვლევების სიმცირე, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს თემის სპეციფიკიდან ან კვლევებიდან. შეფასების კომპონენტებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ არსებობს კომუნიკაციების უნარების განვითარება ჩართულობით და კომუნიკაციის უნარების განვითარება, როგორც დამკვირვებლის პერსპექტივით. კომუნიკაციის უნარები არ დაიყვანება მხოლოდ და მხოლოდ ვერბალურ და არავერბალურ უნარებზე, წერითი მეტყველებაც არის ერთ-ერთი კომუნიკაციური არხი, აქედან გამომდინარე დაწესებულების პოზიციით დაბალანსებულია აღნიშნულ საგანში და არის მითითება, რომ ეს არის კრიტიკული, არგუმენტაციული ან სინთეზური ესე. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ძირითადი რასაც იყენებს ინსტიტუცია, არის სინთეზური ესე. ყველა ესე საბოლოოდ ფასდება, ცოდნის სტრუქტური მექანიზმით, რომელსაც დაკვირვებადი სწავლის შედეგს უწოდებს ინსტიტუცია.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ სტუდენტისათვის საინტერესოა თუ რას ასწავლის მას სასწავლო კურსი, რა არის სასწავლო კურსის მიზანი, რა უნარებზე გაიყვანს, რა დავალებები იქნება შესასრულებელი და როგორი იქნება შეფასება. საბჭოს წევრის თქმით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ აცდენაა. სასწავლო კურსის მიზანში წმინდა პრაქტიკული უნარების სასწავლო კურსია და ეს პრაქტიკული უნარები მოიცავს ზეპირი კომუნიკაციების უნარებს. საბჭოს წევრის თქმით, გასაგებია, რომ თეორიული გამოკითხვის დროს შესაძლებელია კითხვა ისე იყოს დასმული, რომ არამარტო პრაქტიკული უნარი შემოწმდეს, არამედ სტუდენტის ცოდნაც, თუმცა კრიტერიუმები, რომლებიც შეთავაზებულია სილაბუსში ძალიან ზოგადია და ნებისმიერს მოერგება. საბჭოს წევრმა, ასევე მაგალითისთვის, მოიყვანა სასწავლო კურსი „მოტივაცია და ქცევა“, რომელიც ასევე ფასდება დასწრება აქტივობით.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ია აფთარაშვილმა განმარტა, რომ სასწავლო კურსში „მოტივაცია და ქცევა“ კრიტერიუმებში მხოლოდ აქტივობები იყო წარმოდგენილი. უნივერსიტეტის ძლიერი მხარე, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით იყო პერსონალი, აქედან გამომდინარე, როდესაც ისინი ადგენენ სილაბიუსებს ინსტიტუცია ვერ შეზღუდავს მათ. მისი განმარტებით, როდესაც სტუდენტი იღებს ძირითად სასწავლო კურსებს, მისთვის უკვე გასაგებია, რომ ყველა დავალება ფასდება თვისებრივად დაკვირვებადი სწავლის შედეგების სტრუქტურით. კურიკულუმის რუკასთან დაკავშრებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სამი საკვანძო კრიტერიუმის მიხედვით მოხდა შეფასება. თითოეული საგანი შეფასდა თავისი დატვირთვით, თუ რა დატვირთვის მატარებელი იყო სტუდენტის ცოდნის კონსტრუირებით. შეფასების სამი დონის მიხედვით შეესაბამება კურიკულუმის რუკას.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კომუნიკაციების კურსში გამოყენებული იყო, როგორც ზეპირი, ასევე წერითი შეფასება. ასევე, კურიკულუმის რუკასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, განხილულ იქნა თითოეული კურსი და საბოლოო ჯამში შეიქმნა კომპლექსური რუკა. ლიტერატურასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ბევრ სილაბუსში იყო მითითებული უახლესი ლიტერატურა, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტში და მაქსიმალურად არის გამოყენებული. მისი თქმით, ასევე რიდერებში იყო გამოყენებული თანამედროვე ლიტერატურა, თუმცა ასევე აქტიურად ხდებოდა კლასიკური ნაშრომების გამოყენება, რომელზეც დგას ზოგადად ფსიქოლოგია და მათ შორის განათლების ფსიქოლოგიაც.

17:36 საათზე, საბჭოს სხდომა დატოვა ანა ფირცხალაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ ვერ ნახა წარმოდგენილ დოკუმენტებში შრომის ბაზრის კვლევა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, განემარტათ, ნახეს თუ არა აღნიშნული დოკუმენტი და რის საფუძველზე განისაზღვრა პირველი რეკომენდაცია. საბჭოს თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა, როგორი იყო უსდ-ს მოსაზრება ამასთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრი, თამარ ჩხეიძე დაინტერესდა, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების გაწერასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდგომ, როგორი იყო ექსპერტების პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ შრომის ბაზარი ნაწილობრივ შეეხებოდა დამსაქმებელთა კვლევას, თუმცა არ იყო მოცემული კურსდამთავრებულთა დამსაქმებელთა შეფასება და დამოკიდებულება. ამიტომაც გაიწერა ექსპერტთა ჯგუფის მიერ რომ სისტემური შრომის ბაზრის კვლევა ჩატარდეს. სამაგისტრო ნაშრომების შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით, ექსპერტმა განმარტა, რომ ეს შეეხებოდა F/FX გამოყოფას, რაც გაითვალისიწნა ინსტიტუციამ.
დაწესებულების წარმომადგენლის, ია აფთარაშვილის თქმით, ინსტიტუციას აქვს მოთხოვნა კანონმდებლობიდან, რომ განხორციელდეს შრომის ბაზრის სისტემური ანალიზი და არა შრომის ბაზრის კვლევა. ყველა საკვანძო მოთხოვნაზე და კითხვაზე, რაც შრომის ბაზრის სისტემური ანალიზის თვალსაზრისით არის საჭირო სამაგისტრო პროგრამის

განვითარებისათვის, პასუხი არის სხვადასხვა კვლევებში, ეს იქნება კურსდამთავრებულთა კვლევა და დამსაქმებელთა გამოკითხვა. სისტემური ანალიზი განხორციელდა რამდენიმე საკვანძო კვლევის საშუალებით. აქედან გამომდინარე ინსტიტუცია არ ეთანხმება რეკომენდაციას, რომ სისტემური ანალიზი არ არის განხორციელებული.
დაწესებულების წარმომადგენლის მანანა მელიქიშვილის თქმით, მე-8 დანართში იყო მოცემული დამსაქმებელთა კვლევა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:38
დასრულების დრო: 17:50

17:50 საათზე, საბჭოს სხდომა დატოვა ნინო იმნაძემ.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ "გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანა თლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ 1.2, 2.1, 2.2, 2.3 2,4 და 5.1 ქვეკომპონენტებში დაემატა რეკომენდაციები, 5.3 ქვეკომპონენტში განსაზღვრული რეკომენდაცია კი გადავიდა რჩევებში, შედეგად მე-2 სტანდარტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:
1.რეკომენდირებულია, ჩატარდეს შრომის ბაზრის კვლევა და პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები დაზუსტდეს შრომის ბაზრის კვლევის შედეგებთან მიმართებით;
2. სამაგისტრო პროგრამის წინაპირობაში დაზუსტდეს ინგლისური ენის მოთხოვნის დონე სწავლების საფეხურთან მიმართებით;
3. რეკომენდირებულია, გადახედილი იქნეს კურიკულუმის რუკა და დაზუსტდეს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის დონე პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით;
4. რეკომენდირებულია, გადაიხედოს და განახლდეს რიგ სასწავლო კურსებში ძირითადი სასწავლო მასალა;
5. რეკომენდირებულია, პრაქტიკის კურსის სილაბუსში აღწერილი იყოს პრაქტიკის გეგმა, რაც გულისხმობს პრაქტიკის ადგილზე თითოეული ვიზიტის დროს განსახორციელებელი აქტივობების მიზანს, შინაარსს, საშინაო დავალების ინსტრუქციას;
6. რეკომენდირებულია,მემორანდუმები/ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან, ითვალისწინებდეს სტუდენტების რაოდენობას;
7. რეკომენდებულია დასწრების ქულა შეიცვალოს აქტივობის ფორმით და აქტივობისთვის განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები;
8. რეკომენდებულია გასწორდეს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები F/FX შეფასებასთან მიმართებაში და გაიწეროს №3 ბრძანების მუხლი 4.19-ის მიხედვით;
9. რეკომენდირებულია, შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმების ამოქმედება, პროგრამის განვითარების უზრუნველსაყოფად.

რჩევები:

- სასურველია, სამაგისტრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია შემდეგნაირად იყოს ფორმულირებული: Master of Psychology

- სასურველია, დაზუსტდეს არჩევით სასწავლო კურსში „ზოგადი მენეჯმენტი“ კურსის დასახელება შინაარსთან მიმართებით;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის განვითარების მიზნით, კვლევები ჩატარდეს კონკრეტულ პროგრამასთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ "განათლების ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ 1.2, 2.2, 2.3, 2.5 და 5.1 ქვეკომპონენტებში დაემატა რეკომენდაციები, შედეგად მე-2 სტანდარტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:
1. რეკომენდირებულია, ჩატარდეს შრომის ბაზრის კვლევა და პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები დაზუსტდეს შრომის ბაზრის კვლევის შედეგებთან მიმართებით;
2. რეკომენდირებულია, გადახედილი იქნეს კურიკულუმის რუკა და დაზუსტდეს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის დონე პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით;
3. რეკომენდირებულია, გადაიხედოს და განახლდეს რიგ სასწავლო კურსებში ძირითადი სასწავლო მასალა;
4. რეკომენდირებულია, რიგ სასსავლო კურსებში (მაგ: „მოტივაცია და ქცევა“, „კომუნიკაციის და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება და სხვა) დაზუსტდეს და დაკონრეტდეს შეფასების კომპონენტები კურსის სწავლის შედეგების შესაბამისად;

5. რეკომენდებულია დასწრების ქულა შეიცვალოს აქტივობის ფორმით და აქტივობისთვის განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები;
6. რეკომენდებულია გასწორდეს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და გაიწეროს #3 ბრძანების მუხლი 4.19-ის მიხედვით;
7. რეკომენდირებულია, შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმების ამოქმედება, პროგრამის განვითარების უზრუნველსაყოფად.

რჩევები:

- სასურველია, ინტერნაციონალიზაციის დოკუმენტში შეიცვალოს ფრაზა - „ხელმძღვანელობს სამაგისტრო ნაშრომებს“ რადგან, ორგანიზაციის მიერ მითითებული მოწვეული ლექტორის გვარი არ ფიქსირდება ბოლო 5 წლის განმავლობაში დაცული სამაგისტრო ნაშრომების სიაში;
- სასწავლო პროგრამაში სწავლის შედეგების გრაფაში გასწორდეს კორექტული შეცდომები;
- სასურველია სტუდენტებს ჰქონდეთ მეტი ინფორმაცია და წვდომა ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებთან;
- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომებში პროგრამის სწავლების ენიდან გამომდინარე და დარგის აქტუალობიდან გამომდინარე (განათლება) ინგლისურენოვან ლიტერატურსთან ერთად გაძლიერდეს და დაემატოს ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა და კვლევები;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეოთხე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასებისა და კონსულტირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასებისა და კონსულტირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11.11.2011 გადაწყვეტილება № 286
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასებისა და კონსულტირება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313 - ფსიქოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ი.ჭავჭავაძის გამზ 11ა, მე-3 კორპუსი, თბილისი, 0179 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

მეხუთე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრაის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11.11.2011 გადაწყვეტილება № 294
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-

8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	შრომისა და ორგანიზციის ფსიქოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313 - ფსიქოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ი.ჭავჭავაძის გამზ 11ა, თბილისი, 0179 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს: გიორგი ღაღანიძემ და ნინო ჭალაგანიძემ.
თვითაცილების საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ აღნიშნა რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასებისა და კონსულტირების" და "შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები შეაფასა ერთმა ექსპერტთა ჯგუფმა და საბჭოზე დაინტერესებულ მხარეებს შესთავაზა ორივე პროგრამა განეხილათ ერთად და აკრედიტაციის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებითაც ერთი შესვენების ფარგლებში ემსჯელათ.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნათია ბადრიშვილმა განმარტა, რომ პროგრამას ჰყავდა საერთაშორისო ექსპერტი, რაც მისი თქმით ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთ წინაპირობად მითითებულ იქნეს ინგლისური ენის ფლობა B2 დონეზე.
2. რეკომენდებულია ყველა სილაბუსში, სადაც შეფასების ფორმად/კომპონენტად მითითებულია „დასწრება“, ამოღებულ/და კორექტირებულ იქნეს ამგვარი ფორმა/კომპონენტი, ხოლო მითითებული „აქტიურობის“ ნაწილში განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები;
3. „სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დებულებაში“ (მ.11, პ. 11.7) არსებული ჩანაწერი „სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია“ უნდა მოვიდეს შესაბამისობაში „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 5 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან (მ.4, პ.19), რომლის თანახმად F შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა მელიქიშვილმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მიღების წინაპირობა იყო გასაუბრება ინგლისურ ენაზე, შესაბამისად ინსტიტუცია ვერ იქნება კომპეტენტური იმაში, რომ დაადგინოს აპლიკანტს B2 დონე აქვს თუ C1. აპლიკანტს ეძლევა ფსიქოლოგიური ტექსტი, რომელიც უნდა წაიკითხოს, გაანალიზოს, მოყვეს და ამის მიხედვით ფასდება ის. დაწესებულების მიზანია, რომ აპლიკანტმა შეძლოს ინგლისური ლიტერატურის წაკითხვა. დასწრების ქულასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა მთლიანად იყო აგებული პრაქტიკული კურსებით, შესაბამისად დასწრება/აქტივობა იყო ძირითადი სამუშაო სემინარზე. ამგვარი კურსები გულისხმობს პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულებას, ჯგუფში მუშაობას, გარკვეული ტექნიკებისა თუ ინსტრუმენტების დემონსტრირებას, შემთხვევათა განხილვას, შესაბამისად, დასწრება/აქტივობის ქულა უსდ-ს მოსაზრებითმ ნიშვნელოვანია. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დებულებაში ცვლილებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ უსდ იზიარებდა აღნიშნულ რეკომენდაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, კითხვით მიმართა ინსტიტუციას და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი იყო დამსაქმებელთა გამოკითხვა, რომელიც 2021 წელს იყო ჩატარებული. გამოკითხულ იქნა 9 ადამიანი. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენად სარწმუნო და ვალიდური იყო მხოლოდ 9 ადამიანის გამოკითხვა და რომელ ორგანიზაციებს წარმოადგენენ ისინი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლუიზა არუთინოვამ განაცხადა, რომ 9 დამსაქმებლის საფუძველზე საბოლოო დასკვნის გაკეთება შეუძლებელი იყო. თუმცა მისი თქმით, მნიშვნელოვანი იყო ორგანიზაციები, რომელსაც წარმოადგენდნენ აღნიშნული სუბიექტები. გამოკითხულ იქნა ისეთი ორგანიზაციები, სადაც დასაქმებულები არიან პროგრამის კურსდამთავრებულები, მაგალითად კრიზისული ცენტრი, სადაც დაახლოებით 10 კურსდამთავრებული არის დასაქმებული, ასევე „პირველი ნაბიჯი“ სადაც, წამყვან პოზიციებზე არიან დასაქმებულები პროგრამის კურსდამთავრებულები. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, რთული იყო სკოლების გამოკითხვა, სადაც ასევე არიან კურსდამთავრებულები დასაქმებულები.

საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშილი დაინტერესდა, თუ რატომ გართულდა სკოლების გამოკითხვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლუიზა არუთინოვამ განმარტა, რომ რამოდენიმე სკოლა გამოეხმაურა აღნიშნულ კვლევას. იყო უკუკავშირი ბათუმის სკოლიდან, ქუთაისის სკოლიდან თუმცა, კარგად წარმოდგენა მაინც ვერ მოხდა.
საბჭოს წევრმა დააზუსტა, სკოლები თავს ხომ არ იკავებდნენ კომუნიკაციისგან.
დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მთავარი საკითხი იყო ის, რომ კურსდამთავრებულები ძირითადად დასაქმებულები იყვნენ დიდ ცენტრებში, ვიდრე სკოლებში. ასევე, კარიერული ზრდის თვალსაზრისით, კურსდამთავრებულები ცდილობენ დასაქმდნენ თავისი პროფილით.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ ერთი და იგივე სასწავლო კურსი გადიოდა პროგრამის რამდენიმე შედეგზე ერთი და იგივე დონით. ასევე სასწავლო კურსებში ლიტერატურა არ იყო თანამედროვე. შედეგეგბთან მიმართებით, იყო ისეთი შედეგები, სადაც შეფასების სისტემები და კრიტერიუმები რეალურად არ ჩანდა და არ იზომებოდა. საბჭოს წევრმა განმარტა, რომ საინტერესო იქნებოდა ინსტიტუციის პოზიცია აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ბიბლიოგრაფიასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ძირითადად ისწავლებოდა კლასიკური წიგნებით და ინსტრუმენტებით, რომლებიც ისეთი მნიშნელობისაა, რომ მარტივად არ იქმნება. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, არსებობს ინსტრუმენტის სწავლების პრობლემაც, რადგან მისი გასაჯაროება არ შეიძლება. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მას ჰქონდა უახლესი ვერსია, თუმცა არ შეეძლო გასაჯაროება, ვინაიდან არ ჰქონდა შესაბამისი ლიცენზია. თუმცა დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ძირეული ცვლილებები არ არის ახალ ვერსიაში და ძველის ძირითადი კონსტრუქტი შეესაბამება ახალ ვერსიას. ცვლილებები შეეხება სხვა პარამეტრებს, ხოლო ახალ პრაქტიკული დანიშნულების სტატიებს სტუდენტები მუდმივად ეცნობიან. კურიკულუმის რუკასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ არსებობს პარამეტრები, რომლებიც ვერ გადიან ერთი და იგივე შედეგზე, რადგან პრაქტიკული ხასიათისაა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ განმარტა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული პროგრამები წარმოადგენდა უნივერსიტეტის წამყვან პროგრამებს, რომლებიც რეალურად აღნიშნულ დარგში იყო წამყვანი პროგრამები საქართველოს საგანმანათლებლო ბაზარზე, ხოლო აკადემიური პერსონალი, რომელიც რეალურად ახორციელებს აღნიშნულ პროგრამებს, ასევე კურსდამთავრებულებისკვალიფიკაცია და კომპეტენცია ნამდვილად აჩვენებდა რომ სწავლის შედეგები, რომლებიც გაწერილი იყო საგანმანათლებლო პროგრამებში და შესაბამის კურსებში, იყო შესაბამისი შეფასებით უზრუნველყოფილი. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, აკადემიური პერსონალის, აკადემიურ თავისუფლებას ძალაინ დიდი ხარისხი აქვს მინიჭებული ინსტიტუციის მიერ და სწორედ აკადემიური პერსონალის გადასაწყვეტია თუ როგორ გაწერს სწავლის შედეგებს შესაბამისი კომპეტენციებით, ხოლო მითითებული ლიტერატურა, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით იყო დარგობრივი ლიტერატურა, რომელიც არის მაღალ კვალიფიციური ექსპერტების მიერ ჩამოყალიბებული და ხშირ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა, თუ რომელი წლით იქნება დათარიღებული. მისივე განმარტებით, დარგობრივი ცოდნა სრულიად განსხვავებულია და ვერ ჩაჯდება იმ ზოგად მოთხოვნებში, რომელიც შეიძლება იყოს გამოწვეული რაღაც ტიპის სტრუქტურირებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ „ქცევის მართვა“ იყო პრაქტიკული კურსი და წლების განმავლობაში იცვლებოდნენ ლექტორები, შესაბამისად იცვლება ორგანიზაციების ბაზები, სადაც ტარდება პრაქტიკული კურსი, ყოველ ახალ შემთხვევაში და ახალ სემესტრში. ლექტორის აკადემიური თავისუფლების ნაწილია თუ როგორ შეაფასებს. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ამით შეიძლება აიხსნას ზოგადად ფორმულირებული სწავლის შედეგები.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ პროგრამის ძლიერი მხარე იყო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება. ასევე ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ერთიანი საუნივერსიტეტო მიდგომებისა და ხედვების არსებობას, ისე ფაკულტეტების უფლებას, მოახდინოს მათი იმპლემენტაცია საკუთარი საჭიროებებისა და პროგრამების თავისებურებების გათვალისწინებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. განისაზღვროს სავალდებულო სტატუსი იმ სასწავლო კურსებისთვის, რომელთა შესწავლა ქმნის პროგრამის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ პირობას.
2. „სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დებულებაში“ (მ.11, პ. 11.7) არსებული ჩანაწერი „სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია“ უნდა მოვიდეს შესაბამისობაში „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან (მ.4, პ.19), რომლის თანახმად F შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას.
3. შეფასების მეთოდად მითითებული „დასწრება“ ჩანაცვლდეს შეფასების ისეთი მეთოდით, რომლითაც იქნება შესაძლებელი სტუდენტის მიღწევების შეფასება.
4. სტუდენტის შეფასების გამჭვირვალობისათვის დასაზუსტებელია რას მოიაზრებს „აქტივობაში“ როგორც შეფასების მეთოდი და მისათითებელია შეფასების კრიტერიუმები.
5. პროგრამის განსხვავებულობის მიუხედავად, მოსაძიებელია უცხოეთის უსდ-ების პროგრამები, რომლებიც გარკვეულწილად თანხვედრაშია დაწესებულების პროგრამასთან, რათა იყოს შესაძლებელი სწავლების არსებული გამოცდილებისა და ტენდენციების გაზიარება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია, რომელსაც არ იზიარებდა ინსტიტუცია შეეხებოდა სავალდებო კურსების დაფიქსირებას. პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, პროგრამა შედგებოდა სამი სავალდებულო მოდულისგან. თითოეულ მოდულში შეთავაზებული არჩევითი კურსები არ იყო სტანდარტული გაგებით არჩევითი, რადგან სტუდენტი ვალდებული იყო თითოეულ მოდულში შეთავაზებული საგნებიდან სავალდებულოდ აირჩიოს საგანთა დიდი ნაწილი და, შესაბამისად, დააგროვოს კრედიტთა განსაზღვრული რაოდენობა. მოდულში შეთავაზებული 50 კრედიტიდან მაგისტრანტმა უნდა აიღოს მინიმუმ 40 კრედიტი. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პროგრამის შედგების მიღწევისთვის აუცილებელ პირობას წარმოდგენდა სწორედ შეთავაზებული მოდულები. მისივე განმარტებით ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებდა ინსტიტუციის პოზიციას, „ვინაიდან, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 69/ნ ბრძანების დანართი 6 #2 "სწავლის სფეროების კლასიფიკატორი"-ს (მ.6. პ.6) თანახმად, ძირითადის წავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები წარმოდგენილი უნდა იყოს სავალდებულო და არჩევითი სახით.“ დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, აქ ცხადად, ჩანდა, რომ კურსები, საგნები ან მოდულები უნდა იყოს წარმოდგენილი სავალდებულო სახით, შესაბამისად პროგრამაში წარმოდგებილია სავალდებულო მოდულები,

შესაძლებლია იყო ცოტა განსხვავებულო კონცეფცია, თუმცა აღნიშნულიც აკადემიურ თავისუფლების საკითხია. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, არც გარე შეფასების პირობებში ყოფილა დაფიქსირებული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პრობლემა, ასევე არ დაფიქსირებულა უარყოფითი მოსაზრება სტუდენტებისა და კურსდამთავერბულებისგან. პროგრამა მუშაობს წარმატებით, რაც ასევე ჩანდა შეფასებაში ჩართული ექსპერტების, სტუდენტების და კურსდამთავრებულების თვალსაზრისით. პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, პროგრამის რედიზაინი გაკეთდა ყველა მოსაზრების გათვალისწინებით. ასევე პროგრამა ეყრდნობა საერთაშორისო სტანდარტებს და სახელმძღვანელო პრინციპებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა მაკა კაჭარავამ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ ზეპირი მოხსენებისას ექსპერტთა თავმჯდომარემ პროგრამის ძლიერ მხარედ განიხილა საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, თუმცა ბოლო რეკომენდაციაში, 5.3 ქვეკომპონენტში აღნიშნულია, რომ „პროგრამის განსხვავებულობის მიუხედავად, მოსაძიებელია უცხოეთის უსდ-ების პროგრამები, რომლებიც გარკვეულწილად თანხვედრაშია დაწესებულების პროგრამასთან, რათა იყოს შესაძლებელი სწავლების არსებული გამოცდილებისა და ტენდენციების გაზიარება“. საბჭოს წევრი დაინტერესდა რომელ დანართში იყო წარმოდგენილი „ბენჩმარკინგის“ დოკუმენტი და უკავშირდებოდა თუ არა აღნიშნული რეკომენდაცია „ბენჩმარკინგს“. ასევე საბჭოს წევრმა, განმარტა, რომ სასწავლო გეგმაში მოდულების საგნების რაოდენობა იყო 25 და დამატებით სამაგისტრო ნაშრომი. მოდულები არის სავალდებულო და ჯამში 120 კრედიტი გამოდის ყველა მოდულის არჩევის შედეგად. საბჭოს წევრის თქმით, კურიკულუმის რუკაში, ყველა 25-ივე საგანი, სამაგისტრო ნაშრომთან ერთად მოხვედრილია, როგორც შედეგებზე გამყვანი საგნები, თუმცა მოდულების სათაურში არის მითითება რამდენი კრედიტის არჩევა არის შესაძლებელი. საბჭოს წევრი დაინტერესდა ორივე მხარის პოზიციით ამასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ „პროექტების მართვის“ სასწავლო კურსში, მოდულში შეთავაზებული იყო, როგორც არჩევითი კურსი. საბჭოს წევრის მოსაზრებით, კურსი ერთი შეხედვით იყო გამარტივებული, თუმცა პრე-რეკვიზიტის გარეშე გახლდათ. ასევე, სასწავლო კურსის სწავლის შედეგებად გაწერილი, საბჭოს წევრის განმარტებით აუცილებად უნდა იყოს მიღწევადი და რელევანტური სწავლების მეთოდი იყოს შერჩეული. მისი თქმით, სასწავლო კურსი „პროექტების მართვა“ გაწერილი იყო საკმაოდ კარგად ფორმულირებული სწავლის შედეგებით, თუმცა თემატიკა ზოგადად იყო გაშლილი. საბჭოს წევრის თქმით არ ჩანდა, თუ როგორ ფასდებოდა კოლოქვიუმი, დასწრება და პროექტის მომზადება, რომელიც არ იყო შეთავაზებული. ასევე საბჭოს წევრი დაინტერესდა, რამდენად იყო დაძლევადი პრე-რეკვიზიტის გარეშე სასწავლო კურსი „დამსაქმებლის ბრენდის მართვა“.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რეკომენდაციასთან დაკავშრებით „პროგრამის განსხვავებულობის მიუხედავად, მოსაძიებელია უცხოეთის უსდ-ების პროგრამები, რომლებიც გარკვეულწილად თანხვედრაშია დაწესებულების პროგრამასთან, რათა იყოს შესაძლებელი სწავლების არსებული გამოცდილებისა და ტენდენციების გაზიარება“ განმარტა, რომ ექსპერტები გულისხმობდნენ SIOP-ის სტანდარტთან შესაბამისობას, თუმცა არ ჩანდა სწავლის შედეგების დადარება საერთაშორისო სწავლის შედეგებთან.

პროგრამის წარმომადგენელმა განმარტა, რომ SIOP-ის სტანდარტები იყო წარმოდგენილი როგორც დანართი, ინდუსტრიული და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის საზოგადოება. ასევე მისი თქმით, მოკლე აღწერები იყო თვითშეფასების დოკუმენტშიც და დანართში იყო წარმოდგენილი დოკუმენტი სრულად. რაც შეეხება შედეგების დადარებას, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, აღნიშნული შედეგები ინტეგრირებული იყო სამაგისტრო პროგრამის შედეგებში. შედეგების რუკასთან დაკავშრებით, სადაც წარმოდგენილია ის საგნები, რომლებიც შეიძლება არ აირჩიოს სტუდენტმა, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მოდულების ფარგლებში სტუდენტები სასწავლო პროცესს გეგმავენ თავისი ინტერესებიდან

გამომდინარე. ხოლო იმისთვის, რომ შეიქმნას წარმოდგენა, თუ რა შედეგზე გადის კონკრეტული სასწავლო კურსი და მთლიანად მოდული.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თამარ გვიანიშვილმა განმარტა, რომ არ იყო წარმოდგენილი „ბენჩარკინგის“ დოკუმენტი. წარმოდგენილი იყო პროფესიული ორგანიზაციის შრომის სამრეწველო და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის საზოგადოების დოკუმენტი. ექსპერტის თქმით, ინტერვიუირების დროს აღინიშნა, რომ პროგრამის განმახორციელებლებმა შეისწავლეს უცხოეთის პროგრამები, თუმცა დოკუმენტურად წარმოდგენილი არ ყოფილა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ ინსტიტუცია „ბენჩმარკინგს“ როგორც ინსტრუმენტს ძალიან აქტიურად იყენებდა და გამოყენების მეთოდოლოგიაც იყო გაწერილი. რიგ შემთვევაში ეს შეიძლება იყოს საერთაშორისო სტანდარტთან დადარება, შესაბამისად მეთოდოლოგია განსხვავებულია. შედარება, რომელიც განხორციელდა პროგრამასთან მიმართებაში, არ არის აუცილებელი აისახოს თავად შესადარებელი პროგრამის დოკუმენტში, თუმცა ამასთან დაკავშირებით მითითება გაკეთებულია თვითშეფასების დოკუმენტში.
პროგრამის ხელმძღვანელმა, SIOP-ის სტანდარტებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს იყო სახელმძღვანელო პრინციპები ყველა შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამისთვის. „პროექტების მართვის“ სასწავლო კურსთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომდგენელმა განმრტა, რომ იყო ახალი კურსი და კითხულობს მერი გაბაშვილი, რომელსაც „პროექტების მართვაში“ აქვს დამთავრებული სამაგისტრო პროგრამა ვაშინგტონის და თავისუფალი უნივერსიტეტის. გარდა ამისა აქვს ჰარვარდის მაგისტრის ხარისხი. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ის თუ რატომ გააკეთა ზოგადი ჩარჩო არ იყო მისთვის ცნობილი, თუმცა მისი თქმით ნდობის ხარისხი იყო მაღალი, რადგან აღნიშნული ლექტორის მიმართ დადებითი უკუკავშირები არსებობს სტუდენტების მხრიდან.
დაწესებულების წარმომადგენელმა, პრე-რეკვიზიტებთან დაკავშირებით განმარტა, რომ საგანი იყო ინტერდისციპლინარული, რაც მისი თქმით თანამედროვე ადამიანური რესურსების მართვაში ძალიან მნიშვნელოვანია. რაც შეეხება დისციპლინის შემოჭრას ბრენდინგისა და მარკეტინგის ნაწილში, HR-ში, თვითონ სილაბუსის ნაწილშიც ჩანს და სწავლის შედეგებშიც არის ასახული, რომ ცნებების, შინაარსების გააზრების დონეზეა საკითხების თეორიული ნაწილი, ხოლო მეორე ადამიანური რესურსების მართვის ნაწილში არის პრაქტიკული თემები, კერძოდ მეთოდოლოგიური საკითხები. ავტონომიის ხარისისი მხოლოდ შეიძლება გამოიხატოს, კვლევის დამოუკიდებლად ჩატარებაში, ინსტრუმენტების ფლობაში და ა.შ. დაწესებულების წარმომდგენლის თქმით, სამაგისტრო გამოცდაზე არის მისაღები გამოცდა შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია, რომელსაც ვერ ჩააბარებს აპლიკანტი თუ არ იცის კვლევის მეთოდების ბაზისური ელემენტები, შესაბამისად მთელი კურსი ამაზე არის აგებული. ფსიქოლოგების როლი და ჩართულობა ადამიანური რესურსების მართვის საკითხში, როგორც წესი ემპირიული მომენტებით შემოიფარგლება. (კვლევის ჩატარება, ანალიზი, კმაყოფილების კვლევები და ა.შ)

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:36
დასრულების დრო: 19:07

აკრედიტაციის საბჭოს მიერ "ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასებისა და კონსულტირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ 2.2 ქვეკომპონენტში დაემატა რეკომენდაცია, ხოლო 5.3 ქვეკომპონენტში გაწერილ რეკომენდაციას შეეცვალა ფორმულირება, შედეგად 2.2 ქვეკომპონენტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა ამან არ გამოიწვია მე-2 სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთ წინაპირობად მითითებულ იქნეს ინგლისური ენის ფლობა B2 დონეზე;
2. რეკომენდირებულია, გადახედილი იქნეს კურიკულუმის რუკა და დაზუსტდეს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის დონე პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით;
3. რეკომენდებულია ყველა სილაბუსში, სადაც შეფასების ფორმად/კომპონენტად მითითებულია „დასწრება“, ამოღებულ/დაკორექტირებულ იქნეს ამგვარი ფორმა/კომპონენტი, ხოლო მითითბული „აქტიურობის“ ნაწილში განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები;
4. „სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დებულებაში“ (მ.11, პ. 11.7) არსებული ჩანაწერი „სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია“ უნდა მოვიდეს შესაბამისობაში „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან (მ.4, პ.19), რომლის თანახმად F შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

რჩევები:

- მიზანშეწონილია ყურადღება მიექცეს მისანიჭებელი კვალიფიკაციის ინგლისურენოვანი დასახელების სწორად (Master of Psychology) მითითებას;
- სასურველია, ფაგართოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი და დაზუსტდეს გამოკითხული სუბიექტები;
- მიზანშეწონილია სტუდენტების ინფორმირების მიზნით სასწავლო კურსების სილაბუსებში საკონტაქტო საათების გაშლაში შეყვანილ იყოს შუალედური და საბოლოო გამოცდისათვის განკუთვნილი საკონტაქტო საათებიც;
- მიზანშეწონილია გაფორმდეს პრაქტიკის ყველა განმახორციელებელ ორგანიზაციასთან მემორანდუმები. ასევე, დაკონკრეტდეს პრაქტიკის ხანგრძლივობა და რამდენი სტუდენტის მიღებას შეძლებს ორგანიზაცია;
- მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტის სრული ინფორმირება აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტის დაცვასთან დაკავშირებით;
- სასურველია მოხდეს სტუდენტთა ინფორმირება ყოველკვირეული საკონსულტაციო საათების შესახებ;
- სასურველია, უნივერსიტეტმა/ფაკულტეტმა უზრუნველყოს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების, კონფერენციების, საჯარო ლექციების, კვლევითი პროექტების და ა.შ. სათანადო პოპულარიზაცია „ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასებისა და კონსულტირების“ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა ინტერნაციონალიზაციის საკითხით დაინტერესების მიზნით;
- მიზანშწონილია პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს როგორც დარგობრივი ორგანიზაციების, ასევე საქართველოს და უცხოეთის უსდ-ების მიერ;
- ჩატარებული შეფასების შედეგები მიზანშეწონლია იყოს მეტად ფორმალიზებული უნივერსიტეტის მიერვე შემუშავებული დოკუმენტის (ფორმების) სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასებისა და

კონსულტირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასებისა და კონსულტირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ "შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანა თლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ 2.2 ქვეკომპონენტში დაემატა რეკომენდაცია, ხოლო 5.3 ქვეკომპონენტში გაწერილ რეკომენდაციას შეეცვალა ფორმულირება და გადატანილ იქნა რჩევების ნაწილში, შედეგად 5.3 ქვეკომპონენტი შეფასდა როგორც ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ ნაცვლად ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა ამან არ გამოიწვია მე-5 სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:
1. რეკომენდირებულია, სავალდებულო და არჩევითი კურსების გამიჯვნა მოდულების ფარგლებში და აისახოს კურიკულუმის რუკაში;
2. „სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დებულებაში“ (მ.11, პ. 11.7) არსებული ჩანაწერი „სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია“ უნდა მოვიდეს შესაბამისობაში „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან (მ.4, პ.19), რომლის თანახმად F შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას;
3. შეფასების მეთოდად მითითებული „დასწრება“ ჩანაცვლდეს შეფასების ისეთი მეთოდით, რომლითაც იქნება შესაძლებელი სტუდენტის მიღწევების შეფასება;

4. სტუდენტის შეფასების გამჭვირვალობისათვის, დასაზუსტებელია, რას მოიაზრებს „აქტივობაში“ როგორც შეფასების მეთოდი და მისათითებელია შეფასების კრიტერიუმები.

რჩევები:

- მიზანშეწონილია ყურადღება მიექცეს მისანიჭებელი კვალიფიკაციის ინგლისურენოვანი დასახელების სწორად (Master of Work and Organizational Psychology) მითითებას;
- სასურველია, გადაიხედოს არჩევითი სასწავლო კურსის „პროექტების მართვა“ სწავლის შინარსი სწავლის შედეგებთან მიმართებით;
- სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტის სრული ინფორმირება აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვასთან დაკავშირებით;
- სასურველია, გადაიხედოს არჩევითი სასწავლო კურსის „პროექტების მართვა“ შეფასების კომპონენტების სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- სასურველია გაუმჯობესდეს სტუდენტთა ინფორმირება ყოველკვირეული საკონსულტაციო საათების შესახებ;
- სასურველია, უნივერსიტეტმა/ფაკულტეტმა უზრუნველყოს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების, კონფერენციების, საჯარო ლექციების, კვლევითი პროექტების და ა.შ. სათანადო პოპულარიზაცია პროგრამის სტუდენტთა ინტერნაციონალიზაციის საკითხით დაინტერესების მიზნით;
- მიზანშეწონილია პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს როგორც დარგობრივი ორგანიზაციების, ასევე საქართველოს და უცხოეთის უსდ-ების მიერ;
- სასურველია, უცხოებით უსდ-ების ანალოგ პროგრამებთან დადარების პროცესში არეალის გაზრდა;
- ჩატარებული შეფასების შედეგები მიზანშეწონლია იყოს მეტად ფორმალიზებული უნივერსიტეტის მიერვე შემუშავებული დოკუმენტის (ფორმების) სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის "შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის" სამაგისტრო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

19:10სთ დან -19:25-მდე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

მეექვსე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11.11.2011 გადაწყვეტილება № 278
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ეკონომიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 - ეკონომიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ი.ჭავჭავაძის გამზ 11ა, თბილისი, 0179 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

მეშვიდე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	16.09.2011 გადაწყვეტილება № 16

5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ეკონომიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 - ეკონომიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ი.ჭავჭავაძის გამზ 11ა, თბილისი, 0179 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

მერვე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11.01.2011 გადაწყვეტილება № 296
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ეკონომიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 8
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 - ეკონომიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50
14	განხორციელების ადგილი	უნივერსიტეტის ქ. N2, თსუ X (მაღლივი) კორპუსი, თბილისი, 0186, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს: გიორგი ღაღანიძემ და ნინო ჭალაგანიძემ.
თვითაცილების საფუძველი შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ეკა გეგეშიძემ განმარტა, რომ „ეკონომიკის“ საგანმანათლებლო პროგრამებში, რაც უფრო მაღალი იყო საფეხური, მით უფრო კარგად იყო ჩამოყალიბებული საგანმანათლებლო პროგრამები. მისი განმარტებით, გაცემული რეკომენდაციები დაკავშირებული იყო პროგრამის უფრო მეტად განვითარებაზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. უნდა გადაიხედოს „გამოყენებითი კვლევითი პროექტის“ მომზადების მოთხოვნები, უნდა შემცირდეს პროექტის შესრულების მოთხოვნები ან/და გაიზარდოს კრედიტების რაოდენობა.
2. სისტემატურად უნდა ხდებოდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის განახლება/შევსება, რათა იგი ასახავდეს დარგის თანამედროვე მიღწევებს და მოიცავდეს უახლეს კვლევებს ამ სფეროში.
3. მიზანშეწონილია რეგულარულად ხდებოდეს სასწავლო კურსების გადახედვა/ ოპტიმიზაცია -- ერთის მხრივ, თემატური გადაფარვების ასარიდებლად, მეორეს 6 მხრივ კი, საბაკალავრო პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან მათი სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
4. გამომდინარე იქედან, რომ „გამოყენებითი კვლევითი პროექტი “არის სასწავლო კურსი, უნდა შეიცვალოს მისი შეფასების სისტემა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #3 ბრძანების (ბრძანება #3, 2007 წლის 5 იანვარი) შესაბამისად, ამასთანავე უნდა შეიცვალოს შეფასების კრიტერიუმები.
5. სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებისათვის საჭიროა სწრაფი რეაგირება 2021 წლის აპრილში ჩატარებულ კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებზე - კონკრეტული სამოქმედო გეგმის დასახვა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება პრაქტიკა / სტაჟირების რაოდენობრივი და ხარისხობრივი გაუმჯობესების კუთხით.

6. უსდ-მ უნდა გადახედოს ბიუჯეტში სტუდენტური საქმიანობისთვის გამოყოფილ დაფინასებას. ბიუჯეტის მუხლი „სტუდენტური სწავლის დაფინანსების, გაცვლითი პროგრამების, პრაქტიკის, ექსპედიციის და სხვადასხვა კულტურულ სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ხარჯები“ - დააცალკევოს კატეგორიებად, რომელიც უფრო გამჭირვალედ წარმოაჩენს ხარჯების სტრუქტურას, და დადგინდება რა დაიხარჯება სტუდენტურ აქტივობებზე, ასევე უნდა გაიზარდოს სტუდენტების კურიკულუმის გარეშე აქტივობების ბიუჯეტი.
7. უსდ-მ უნდა გადახედოს ბიუჯეტს და მასში პერსონალის განვითარებასა და ტრენინგებზე გაითვალისწინოს ხარჯები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ ისაუბრა საუნივერსიტეტო დებულებებთან მიმართებაში და აღნიშნა, რომ განსახილველი პროგრამები იყო ერთ-ერთი წამყვანი საქართველოში, რადგან მისი თქმით, ამას ადასტურებდა აპლიკანტთა რაოდენობა და მიღებული სტუდენტების კომპეტენცია. მან ასევე ისაუბრა ბიუჯეტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებდა დაფინანსების სისტემა, რომელიც იყო ძალიან კომპლექსური, მრავალმხრივი. სტუდენტთა პროექტების დაფინანსებისათვის ყოველწლიურად გამოყოფილი იყო დაახლოებით 800 000 ლარი. ეს იყო პროექტები და მათი მრავალფეროვანი არჩევანი, რომელსაც გავლენა ჰქონდა ექსტრაკურიკულარული აქტიურობის ნაწილში. ასევე, აღნიშნული პროექტები ძალიან მნიშვნელოვანი იყო სტუდენტთა კომპეტენციის გამომუშავების ნაწილში. აღნიშნული საკითხის პროგრამის ბიუჯეტში დეტალურად გაწერის თაობაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შესაძლებელი იყო მსჯელობა, თუმცა მისი თქმით, ეს იყო ძალიან ეფექტური სისტემა საუნივერსიტეტო თვალსაზრისით და ფაკულტეტს ჰქონდა განსაკუთრებული პროგრამა კვლევების დაფინანსებით, სადაც სტუდენტები აქტიურად და ინტენსიურად მუშაობდნენ. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პერსონალისათვის ტარდებოდა ღონისძიებები საუნივერსიტეტო მასშტაბით და ხშირ შემთხვევაში ეს არ იყო მხოლოდ პროგრამის ბიუჯეტით განსაზღვრული აქტივობა, პროგრამის ბიუჯეტთან ერთად ამას უზრუნველყოფდნენ მცირე გრანტების საშუალებითაც, რომელთა მოძიება დაწესებულების დონორი ორგანიზაციებიდან ხდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლევან საბაურმა ისაუბრა 2.3 სტანდარტის შესახებ, რომელიც სასწავლო სილაბუსების მუდმივად განახლებას შეეხებოდა, რაზეც მან აღნიშნა, რომ ეს თავისთავად უწყვეტი პროცესი იყო. მათ მითითება ჰქონდათ დეკანატიდან, რომ 2016 წელზე უფრო გვიანდელი ლიტერატურა არ ყოფილიყო სილაბუსებში და შესაბამისად აუცილებელი იყო მათი განახლება, რაც ასეც მოხდა და ექსპერტთა მიერ სილაბუსების გულდასმით ნახვის შემთხვევაში, ისინი ნახავდნენ, რომ ყველგან თანამედროვე ლიტერატურა იყო. მისი თქმით, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა დარჩენილი ყოფილიყო ძველი ლიტერატურა, თუმცა რომელიც არ იყო შეცვლილი და არ განიცდიდა ცვლილებას, მოუწევდათ მათი დატოვება და ხელმძღვანელობა სასწავლო პროცესში. დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით, აღნიშნული რეკომენდაცია უნდა ყოფილიყო რჩევის სახით, რადგან დაწესებულება მას ისედაც ასრულებდა. დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა მე-3 რეკომენდაციის 2.3 ქვეკომპონენტის შესახებ, სადაც საუბარი იყო საგნების გადაფარვის შესახებ და აღნიშნა, რომ როდესაც დონეებად იყო საგნები დაყოფილი, ყოველთვის არსებობდა იმის აუცილებლობა, არა თუ ალბათობა, რომ ზედა საფეხურზე გადასვლისას, შეხსენების სახით, რაღაც ნაწილის მიმოხილვითი სახით განხილვა მომხდარიყო. არ არსებობდა სილაბუსი, რომ სადმე მაშტაბური გადაფარვა ყოფილიყო, მაგრამ საკითხის გამეორება, ცოდნის გაახლების გამო შეძაძლოა არსებულიყო, რაც მეთოდოლოგიურად გამართლებული იყო, ამიტომ, დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით, ეს საკითხიც რჩევა უნდა ყოფილიყო, რომ მაქსიმალურად

გაეკონტროლებინათ, რომ გადაფარვა არ მოხდარიყო, რადგან მათ შემთხვევაშო ამას ადგილი არ ჰქონდა და როგორც რეკომენდაციას, მას ვერ დაეთანხმებოდნენ. დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ასევე 2.4 ქვეკომპონენტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დასკვნის ნაწილში მოცემული იყო ტექსტი, რომელიც ფორმულირებული იყო შემდეგნაირად: „სამეცნიერო, კვლევით, შემოქმედებით, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის საჭიროა სწრაფი რეაგირება 2020-2021 წლის აპრილში კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებზე კონკრეტული სამოქმედო გეგმის დასახვა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება, პრაქტიკა-სტაჟირების რაოდენობრივი და ხარისხობრივი გაუმჯობესების კუთხით“. მან ასევე აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა შემაჯამებელი დასკვნის ნაწილში მოცემული იყო შემდეგნაირად: „უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებამ სასურველია იზრუნოს პრაქტიკის ცენტრების ადგილზე შექმნაზე, სხვაგვარად ის ვერ უზრუნველყოფს ყოველწლიურად 400 სტუდენტის პრაქტიკას“. მისი განმარტებით, იგივე ტექსტი მეორდებოდა შემაჯამებელი დასკვნის რჩევების ნაწილშიც. არეული იყო ეს იყო რეკომენდაცია თუ რჩევა. სტილისტურად, როგორც იყო გადმოცემული, ის უნდა ყოფილიყო რჩევის ნაწილში და ვერ მოხვდებოდა რეკომენდაციებში. მან ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში უკვე არსებობდა ასეთი პრაქტიკის ცენტრები და მათ შეეძლოთ 400-ზე მეტი სტუდენტისათვის პრაქტიკის გატარება. ასეთი პრაქტიკის ცენტრები იყო ბლუმბერგის ლაბორატორია და ფაპლაბი. წლიდან წლამდე იზრდებოდა გაფორმებული მემორანდუმების რიცხვი, რითაც პრაქტიკის სუბიექტების რაოდენობა ასარჩევად უფრო ხელმისაწვდომი ხდებოდა მათი სტუდენტებისათვის. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა მე-4 სტანდარტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტში მოცემული იყო სტუდენტთა ხელშეწყობის ხარჯები, რომელიც მოიცავდა სამ მიმართულებას: 1) სტუდენტების საუნივერსიტეტო დაფინანსებას, რაც შეეხებოდა სწავლის საფასურის დაფინანსებას, რაც შეადგენდა 700 000 ლარს. 2) სტუდენტური პროექტები, რომლისთვისაც 800 000 ლარი იყო განსაზღვრული და მასში შედიოდა როგორც სასწავლო-სამეცნიერო, ასევე სპორტული და კულტურული ღონისძიებებისათვის საჭირო ხარჯები. მათ შორის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით ჩასატარებელი ღონისძიებები. 3) სტიპენდიები, რომელიც შეადგენდა 1 151 000 ლარს. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ასევე მნიშნელოვანი იყო, რომ ფაკულტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო, პროგრამული ბიუჯეტის სახსრებში 23 450 ლარი, რაც წარმოადგენდა მხოლოდ სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში და სხვადასხვა სამეცნიერო კომფერენციებში მონაწილეობას. მისი თქმით ცალეკ იყო ცენტრალურ ბიუჯეტში გამოყოფილი და ასევე ფაკულტეტის ბიუჯეტში იყო ცალკე გათვალისწინებული. გარდა, ამისა ფაკულტეტზე არის ტრადიცია, სადაც შიდა ფაკულტეტზე არის სამეცნიერო კვლევითი გრანტები. მისი თქმით კვლევით გრანტებში ერთ-ერთი უპირობო მოთხოვნა იყო შესაბამისად, რომელიმე საფეხურის სტუდენტის წარმოდგენა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ნახა ბიუჯეტი, თუმცა რეკომენდაცია შეეხებოდა, ინტეგრირებული პროპორციულად მაინც ყოფილიყო წარმოდგენილი. ექსპერტის თქმით რეკომენდაციები შეეხებოდა მხოლოდ და მხოლოდ პროგრამის გაუმჯობესებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კითვით მიმართა ექსპერტთა თავმჯდომარეს, პროგრამის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, იყო ხარვეზით გამოწვეული თუ კეთილი სურვილით.

ექსპერტთა თავმჯდომარის განმარტებით, ეს არ იყო მხოლოდ კეთილი სურვილი, რადგან, ექსპერტებმა დაინახეს, რომ აღნიშნულ მიდგომებში შესაძლებელი იყო, დიდი რაოდენობის სტუდენტებს არაპროპორციულად ცოტა ხელმისაწვდომობა ჰქონდეთ ფინანსებთან. ექსპერტის თქმით, ქვოტირების მექანიზმები უნდა ჰქონდეს განსაზღვრული ინსტიტუცია, ბიუჯეტთან დაკავშრებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთ სასწავლო კურსში „ინოვაციური სამეწარმეო პოლიტიკა“ თეორია და პრაქტიკა, სწავლის შედეგები საინტერესოდ იყო გაწერილი და პრაქტიკულ უნარებზე იყო ორინეტირებული, ხოლო შეფასების მეთოდებში გაწერილი იყო: დასწრება, სასემინარო მეცადინეოებები, სამუშაო ჯგუფში მუშაობა - 5 ქულა, თუმცა დასწრების ფორმატში, რატომღაც იყო გაწერილი „მაგისტრანტი სისტემატიურად ესწრება სასემინარო პრაქტიკულ მეცადინეობებს“ ასევე გადანაწილებულია დასწრების ქულა. საბჭოს წევრმა ასევე განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სწავლის შედგები ორიენტირებული იყო პრაქტიკულ უნარებზე, არ იკვეთებოდა ისეთი მეთოდები, რომლებიც აღნიშნულ პრაქტიკულ უნარებს კარგად შეფასაებდა. საბჭოს წევრი დაინტერესდა, დაწესებულების პოზიციით ამასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით აქცენტი არ იყო გაკეთებული უცხო ენასთან დაკავშირებით. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ მოიაზრებოდა მაგალითად ინგლისური ენა და რა დონით. ასევე, საბჭოს წევრის თქმით, სასწავლო კურსების ფორმულირებისას აქცენტი გაკეთებული იყო „შეუძლიაზე“, თუმცა ფორმულირება იკვეთებოდა, თითქოს გაზომვადობისკენ შეიძლება წასულიყო, საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რატომ არ ჩამოყალიბდ აიმ ფორმატით, რომელსაც საკვალიფიკაციო ჩარჩო მოითხოვდა. ასევე, შეფასებასათან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა განმარტა, რომ ძირითადად იყო მოცემული რუბრიკები, თუმცა არ იკვეთებოდა, თუ კონკრეტულად რა ქმედება უნდა განახორციელოს სტუდნეტმა, რათა გაიზომოს რამდენად შესრულდა. საბჭოს წევრმა, ასევე აღნიშნა, რომ ნაწილ ძირითად ლიტერატურაში განახლებული იყო ლიტერატურა, თუმცა ნაწილში იყო ძველი პერიოდის, საბჭოს წევრი დაინტერესდა, ეს გამოწვეული ხომ არ იყო დარგის სფეციფიკით.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ, აღნიშნა, რომ სასწავლო კურსში „ინოვაციური სამეწარმეო პოლიტიკა თორია და პრაქტიკაში“ ვერ ნახა ძირითადი ინოვაციური თემები. საბჭოს წევრი დაინტერესდა, ხომ არ გაუჭირდებოდა ბაკალავრიატის სტუდენტს პოლიტიკის ერთიანდ შესწავლა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ინსტიტუცას და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი იყო შრომის ბაზრის კვლევა. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რომელ დამსაქმებლებზე იყო საუბარი შრომის ბაზრის კვლევაში. საბჭოს თავმჯდომარემ, ასევე აღნიშნა, რომ პრაქტიკის სილაბუსში 20 ქულით განისაზღვრებოდა პრაქტიკაზე დასწრება და აქტიურობა. მისი თქმით, ასევე იყო ჩანაწერი, რომ პრაქტიკის ობიექტზე ყველა მეცადინეობაზე დასწრება ფასდებოდა 20 ქულით. საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ინსტიტუციას, უფრო მეტად დაეზუსტებით ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია.

საბჭოს წევრმა დიანა მჭედლიშვილმა, მოხსნა შეკითხვა უცხო ენის წინაპირობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ შეკითვა შეეხებოდა სამაგისტრო პროგრამას.

დაწესებულების წარმომადგენელმა ირმა გრძელიძემ შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით განმარტა, რომ შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია ხშრად განსხვავებული იყო ინსტიტუციაში, თუმცა ეკონომიკის პროგრამებზე, შრომის ბაზრის კვლევა იყო, როგორც სამაგალითო პრაქტიკა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სწავლის შედეგები ფორმულირებული იყო პროგრამის განამახორციელებელი პერსონალის მიერ აკადემიური თავისუფლების ფარგლებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ეთერ ხარაიშვილმა, უპასუხა შეკითხვებს და განმარტა, რომ „ინოვაციური სამეწარმეო პოლიტიკის“ სასწავლო კურსში საბჭოს წევრის მიერ დაფიქსირებული ხარვეზი, იყო ტექნიკური, რადგან დასწრება-აქტივობა როგორც წესი არის ერთად. სწავლის შედგებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გამოყენებული იყო ორგვარი ზმნა, ერთი, რომელიც საწავლო კურსების უშუალო სწავლის შედგებს შეეხებოდა და რომელმაც ლოგიკური ასახვა ჰპოვა პროგრამის შედგებში. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უზურნველყოფით პროგრამის განმახორციელებელმა ჯგუფმა გაიარა ტრენინგები, თუ როგორ

უნდა გაიწეროს სწავლის შედეგები. ლიტერატურასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა, განმრატა, რომ აღნიშნული საკითხი, ასევე მითითებული იყო ექსპერტთა რეკომენდაციებში, თუმცა რეკომენდაციაში ასევე იყო მითითება, რომ ეს შეეხებოდა დამხმარე ლიტერატურას. აღნიშნული რეკომენდაცია შეეხებოდა „ფირმის ეკონომიკას“. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, როდესაც დამტკიცდა სტრუქტურა 2 წლით ადრე, როდესაც პროგრამის სააკრედიტაციო პაკეტის მომზადებაზე დაიწყო მუშაობა, განახლდა ლიტერატურა ორი გზით (რიდერების წარმოდგენით, ფაკულტეტის და საუნივერსიტეტო ფარგლებში სახელმძღვანელოების თაგმნის პროექტის ფარგლებში). დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, „ფირმის ეკონომიკა“ იკითხებოდაა 2011 წელს აკრედიტებულ პროგრამაში ქართულეონვანი სახელმძღვანელოთი. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, შემდგომ მომზადდა რიდერები, სადაც გამოყენებულია 2019 წლის ინგლისურენოვანი ლიტერატურა და ის განახლებული მასალები, რაც საქართველოს სინამდვილეშ იყო. ლიტერატურაში ასევე დარჩა 2011 წლის სახელმძღვანელო, რომელზე დაყრდნობითაც მომზადდა რიდერი. ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გამოიკითხნენ 2019-2020 სასწავლო წლის კურსდამთავრებულები. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, როდესაც ჩატარდა დამაზუსტებელი კვლევა, სამი ჯგუფიდან ერთ-ერთი ჯგუფი მუშაობდა დამსაქმებელთა ბაზრის გაფართოებაზე. ესენი იყვნენ, ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლები და ეკონომიკური პროფილის წარმომადგენლები, ძირითადად სტატისტიკის დეპარტამენტიდან.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, ასევე დააზუსტა სასწავლო კურსში „ინოვაციური სამეწარმეო პოლიტიკა თეორია და პრაქტიკაში“ შეფასების კომპონენტში ჩანაწერი იყო, რომ შუალედური შეფასება ხდებოდა შემდგეი კომპონენტით: დასწრება, სასემინარო მეცადინეობა სამუშაო ჯგუფში, ზეპირი სასეინარო მოხსენება, ინდივიდუალური რეფერატი ან პროექტი, წერითი შუალედური გამოცდა და დასკვნითი გამოცდა. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ როგორი იყო აღნიშნულთან დაკავშირებით პროგრამის მიდგომა. ინდივიდუალური პროექტი ან რეფერატი, იყო ეს ალტენატიული მეთოდები შეფასებისთვის თუ არა.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ეს იყო ალტერანტოული მეთოდები. მისი განმარტებით, დასაწყისშივე ხდებოდა აღნიშნული ალტერნატოული მეთოდებიდან არჩევა სტუდენტების მიერ, რის შემდგომაც შესაბამისად იგეგმება შემდგომი ნაბიჯები.

დაწესებულების წარმომადგენლის, რევაზ გველესიანმა, აღნიშნა, რომ მთელს მსოფლიოში მეწარმეობისადმი მიდგომაში არსებოდა ტრადიციული კლასიკური მიდგომა, რომელსაც მეორენაირად უწოდებენდნ რესურსებზე დაფუძნებულ ხედვას. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, იმისათვის, რომ კომპანია ან საწარმო დააფუძნო აუცილებელია გაგაჩნდეს რესურსები, თუმცა დღევანდელი მდგომარეობით მსოფლიოში რამდენიმე განვითარებულ ქვეყანაში გადაინაცვლა ბალანსმა. შესაძლებელია მეწარმეობის დაწყება ტრადიციული რესურსების გარეშე, აქედან გამომდინარე დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, შესაძლებელია კომპანიის განხილვა, როგორც კარგი იდეების მოფიქრებისა და მისი დამუშავების შედეგად ჩამოყალიბებული სრულყოფილი კონცეფციის პროდუქტი. აღნიშნულ თანამედროვე მიდგომას ეწოდება კონცეფციაზე დაფუძნებული ხედვა. არსებობს ჯგუფი მეცნიერებისა, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ინოვაციური მეწარმეობის სწავლების ქსელი. დაწესებულების წარმომადგენელმა ჩამოთვალა პირები, რომლებიც შედიოდნენ აღნიშნულ სწავლების ქსელში. რაც შეეხება სასწავლო კურსს „ინოვაციური სამეწარმეო პოლიტიკა თეორია და პრაქტიკა“ დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, თავიდან ბოლომდე გასდევდა ინოვაციური თემები და ელემენტები, სწორედ კონცეფციაზე დაფუძვნებული ხედვით. აღნიშნული საწავლო კურსი, დაწესებულების წარმომადგენლის შეფასებით იყო დაძლევადი საბაკალავრო საფეხური სტუდენტისათვის.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ დაამატა, რომ სასწავლო კურსის შინაარსში ჩანდა ელექტრონული ინოვაცია და ჩვეულებრივი ინოვაცია ნაკლებად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სასწავლო კურსის თემებში იყო ჩვეულებრივი ინოვაციაც.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშილმა დააზუსტა, რომ გაეცნო პროგრამის რუკას და კურიკულუმს, ასევე ცალკე იყო დამატებითი სპეციალობებისათვის გაკეთებული კურიკულუმი და მათ შორის იყო დამატებითი მაინორ პროგრამა სხვა სპეციალობებისათვის. საბჭოს წევრი დაინტერესდა, სხვა სპეციალობებისათვის სასწავლო კურსები, რომელსაც წინაპირობად ჰქონდა მათემატიკის სასწავლო კურსები, რამდენად იქნებოდა დაძლევადი და როგორ ხდებოდა აღნიშნული საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ეთერ ხარაიშვილმა განმარტა, რომ სხვა სპეციალობის სტუდენტებისათვის შედარებით გამარტივებული იყო აღნიშნული პროგრამა, ვიდრე ბიზნესის ადმინისტრირებისათვის. წლების მანძილზე გამოცდილების საფუძველზე, სხვა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის აღნიშნული პროგრამა წარმატებით მუშაობდა. პროგრამა აგებულია იმგავარად, რომ დაძლევადი იყოს.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. გამომდინარე იქედან, რომ კვლევითი პროექტი არის სასწავლო კურსი, უნდა შეიცვალოს მისი შეფასების სისტემა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #3 ბრძანების (ბრძანება #3, 2007 წლის 5 იანვარი) 6 შესაბამისად და ნაცვლად ერთჯერადი შეფასებისა უნდა შეფასდეს მრავალჯერადად.
2. სამაგისტრო ნაშრომის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით არსებითად უნდა შეცვალოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები, მასში გარდა ფორმალური და შინაარსობრივი მხარის და პრეზენტაციის კომპონენტისა, წარმოდგენილი უნდა იყოს კვლევის მეთოდოლოგიის რელევანტურებისა და მეცნიერული სიახლის შეფასების კრიტერიუმები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ეთერ ხარაიშვილმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ პირველ რეკომენდაციას სრულად იზიარებდნენ დაწესებულების წარმომადგენლები, ხოლო მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც სამაგისტრო ნაშრომების კრიტერიუმების სრულყოფას შეეხებოდა, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამჟამად სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდებოდა ფორმალური, შინაარსობრივი და პრეზენტაციის კომპონენტების მიხედვით. მისი განმარტებით, სამაგისტრო ნაშრომის შინაარსობრივ მხარეში, კომისიის წევრები აფასებდნენ არა მარტო მეთოდების რელევანტურობას, არამედ - კვლევის მიზნის კვლევის მეთოდებთან და მიღებული კვლევის შედეგებთან რელევანტურობის საკითხსაც. პროგრამის შედეგების შეფასება ხდებოდა ბოლოს, რადგან სამაგისტრო ნაშრომი იყო მესამე დონის კურსი, რომლითაც აფასებდნენ პროგრამის სწავლის შედეგებს და ადგენდნენ ნიშნულებს, თუმცა როგორც ეკონომისტებისთვის, ალბათ სირთულეს არ წარმოადგენდა თუ კრიტერიუმები უფრო მეტად იქნებოდა ჩაშლილი და ექსელის ფაილებში მოხდებოდა ყველა სტუდენტის შეფასება იმისათვის, რომ საბოლოოდ პროგრამის შედეგების შეფასება განხორციელებულიყო. დაწესებულების წარმომადგენლის

თქმით, რეკომენდაციას იზიარებდნენ ნაწილობრივ და რადგან პრორამა მუდმივი განვითარების პროცესში იყო, მზად იყვნენ კიდევ ემუშავათ პრიტერიუმების განვითარების საკითხზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა დამაზუსტებელი შეკითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომელიც მიღების წინაპირობებში ინგლისური ენის საკითხს, სილაბუსებში შეფასების რუბრიკებსა და პროგრამის სტრუქტურას შეეხებოდა. მან აღნიშნა, რომ პროგრამა შედგებოდა კონცენტრაციებისგან, რომლებიც შეადგენდნენ 60 კრედიტს, თუმცა, მან ვერ ნახა სწავლის შედეგები, რომლებიც გაწერილი იქნებოდა კონცენტრაციების მიხედვით, რადგან თუ პროგრამა ითვალისწინებდა კონცენტრაციებს, შედეგებიც კონცენტრაციის მიხედვით უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დააფიქსირა, რომ სამაგისტრო პროგრამის სილაბუსში იგივე ტექნიკური ხარვეზები იყო გაპარული, რასთან დაკავშირებითაც დასვა მან კითხვა საბაკალავრო პროგრამის სილაბუსთან დაკავშრებით. მაგალითად, ასეთ სილაბუსს წარმოადგენდა მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგიისა და კულტური სილაბუსი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უპასუხა საბჭოს წევრის შეკითხვას და აღნიშნა, რომ ყველა კონცენტრაციასთან დაკავშირებით ცალკე იყო გაწერილი სწავლის შედეგები.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომ ფორმულირებები იმგვარი იყო, რომ კონცენტრაციები არ ერგებოდა სპეციფიკას და როგორ შეაფასებდ ამას ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უპასუხა საბჭოს წევრის შეკითხვას და განმარტა, რომ პირველი არ იყო კონცენტრაცია, არამედ უფრო მოდული იყო. ესენი იყო მოდულები, რომელთა არჩევა, მათზე სწავლა შეეძლო სტუდენტს და თუ მიხვდებოდა, რომ არ იყო მისთვის ოპტიმალური, შეეძლო გადასულიყო სხვა მოდულზე, რადგან გარკვეულ მოდულებს შორის არსებობდა საგნების გადაფარვა. აღნიშნული რეგულირდებოდა დიპლომის დანართით და არ ჰქონდა სხვა ჩაშლა, კვალიფიკაცია კი იყო ერთი და იგივე. ამით სტუდენტს ეძლეოდა მრავალფეროვანი არჩევანი და ამის საშუალებას იძლეოდა იმ კონტინგენტის არსებობა, რომელსაც დაწესებულება იღებდა.

ინსტიტუციის წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ უპასუხა საბჭოს წევრის შეკითხვას და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში იყო ბევრი სამაგისტრო პროგრამა, რომელსაც უცხო ენა ჰქონდა მიღების წინაპირობად და ეს წინაპირობა, როგორც წესი, იყო B2-C1. მისი განმარტებით, აღნიშნულ წინაპირობას, უმეტეს წილად, იმ გარემოების შემთხვევაში აყენებდნენ, როდესაც ლიტერატურის დიდი წილი უცხოენოვანი იყო. მისი განმარტებით, აპლიკანტთა რაოდენობა ყოველთვის მაღალრიცხოვანია, როდესაც მიღება ცხადდება. მისი თქმით, აღნიშნული აპლიკანტები და შემდეგ უკვე სტუდენტები, გამოირჩეოდნენ ძალიან მაღალი კონკურენციით და ჰქონდათ მეტწილი კომპეტენცია, რადგან ინტენსიურად მონაწილეობდნენ გაცვლით პროგრამებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ეთერ ხარაიშვილმა საბჭოს წევრის მიერ უცხო ენის მიღების წინაპირობად არსებობასთან დაკავშირებით უპასუხა, რომ უცხო ენა არ იყო მიღების წინაპირობა, მიღება ხდებოდა საერთო სამაგისტრო პროგრამისა და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე. ასევე აღნიშნა, რომ კონცენტრაციების სწავლის შედეგები გაწერილი იყო და სტუდენტი მათგან ირჩევდა ერთ-ერთს, რაც მითითებული იყო პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ არ არსებობდა წელი, როდესაც დაწესებულების ფაკულტეტზე არ განხორციელებულიყო მსოფლიოში წამყვანი უნივერტიტეტის სახელმძღვანელოს თარგმანი. არ არსებობდა კონცენტრაციის მიმართლება, სადაც თუნდაც 2-3 დღის განმავლობაში ერთ ასეთი სამუშაო არ ჩატარებულიყოს.

მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. გამომდინარე იქედან, რომ სემინარი არის სასწავლო კურსი, უნდა შეიცვალოს მისი შეფასების სისტემა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #3 ბრძანების (ბრძანება #3, 2007 წლის 5 იანვარი) შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ პროგრამების აგების ფილოსოფია იმგვარი იყო მათ დაწესებულებაში, რომ ჯერ უყურებდნენ სადოქტორო პროგრამებს, შემდეგ უკვე სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამებზე. სწორედ ამიტომ, „აუეფ"-ის მონაწილეობით განხორციელდა მოცემული სადოქტორო ნაშრომის შეფასება ფრანგი კოლეგის მიერ, რომელმაც მაღალი შეფასება დაიმსახურა. შესაბამისად, ის კომპეტენციები, რომლებზეც დოქტორანტურის პროგრამის კურსდამთავრებული გადიოდა, ჩამოდიოდა დაბლა, სამაგისტრო და საბაკალავრო საფეხურებზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ვლადიმერ პაპავამ აღიშნა, რომ დოქტორანტურის საფეხურზე მათ ამოცანას წარმოადგენდა არა მხოლოდ ცოდნის გაღრმავება, არამედ კრიტიკული აზროვნების უნარების გამოვლენა, დოქტორანტს შეეძლოს საკითხისადმი კრიტიკული მიდგომა. მისი განმარტებით, დაწესებულების წარმომადგენლები მუდმივად ცდილობენ, რომ დოქტორანტებს მიაწოდონ ის ცოდნა და ინფორმაცია, რომელიც თანამედროვე მეცნიერების მოწინავე ფრონტზეა, რადგან ბევრი კლასიკური დებულება, რომლითაც მსოფლიოში ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში ეკონომიკა ისწავლება, კრიტიკული იყო და ინიცირებული იყო ეკონომიკაში ახალი პარადიგმების ფორმირების პროცესი. დოქტორანტებს დამატებითი ლიტერატურის სახით ეძლეოდათ სახელმძღვანელო, რომელიც შეიცავდა სამსჯელო საკითხებს, რასაც მსოფლიოს მოწინავე ეკონომისტები აქცევდნენ ყურადღებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრების მიერ შეკითხვები არ დაფიქსირდა.
დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს მიმართა შუამდგომლობით მიმდინარე სხდომაზე განხილული ყველა პროგრამის გადაწვეტილება ძალაში სხდომის დღეს ანუ 2021 წლის 14 დეკემბრიდან შესულიყო.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 21:20
დასრულების დრო: 21:55

აკრედიტაციის საბჭოს მიერ ,,ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ 2.3 ქვეკომპონენტში დაემატა ორი რეკომენდაცია, 2.4 ქვეკომპონენტში გაწერილი რეკომენდაცია გადავიდა რჩევების ნაწილში, შესაბამისად ეს კომპონენტი შეფასდა როგორც ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", 2.5 ქვეკომპონენტში დაემატა რეკომენდაცია, შესაბამისად ეს კომპონენტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", 2.6 ქვეკომპონენტში დაემატა ორი რეკომენდაცია, საბოლოოდ არ შეცვლილა მე-2 სტანდარტის

შეფასება და ის ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. 4.1 ქვეკომპონენტში გაწერილი რეკომენდაციას შეეცვალა ფორმულირება და გადავიდა რჩევების ნაწილში, შედეგად ეს კომპონენტი შეფასდა როგორც ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, 5.1 ქვეკომპონენტში დაემატა რეკომენდაცია, შედეგად ეს კომპონენტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა ამან არ გამოიწვია მე-5 სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია რიგი სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო მასალის განახლება/შევსება;
2. რეკომენდირებულია, გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსები და დაზუსტდეს სწავლის შედეგები კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით;
3. რეკომენდირებულია, რიგი სასწავლო კურსის შედეგები ფორმულირდეს იმგვარად, რომ ზურუნველყოფილ იქნეს მათი გაზომვადობა და შეფასება;
4. რეკომენდირებულია, რიგ სასწავლო კურსებში სწავლების მეთოდები დაზუსტდეს კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით;
5.რეკომენდებულია დასწრების ქულა შეიცვალოს აქტივობის ფორმით და აქტივობისთვის განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები, რუბრიკები;
6. რეკომენდირებულია, რიგ სასწავლო კურსებში შეფასების კომპონენტები და რუბრიკები განისაზღვროს კურსის სპეციფიკის და მისაღწევის შედეგების გათვალისწინებით;
7.გამომდინარე იქედან რომ „გამოყენებითი კვლევითი პროექტი “არის სასწავლო კურსი, უნდა შეიცვალოს მისი შეფასების სისტემა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #3 ბრძანების (ბრძანება #3,2007 წლის 5 იანვარი) შესაბამისად, ამასთანავე უნდა შეიცვალოს შეფასების
კრიტერიუმები;
8. რეკომენდირებულია, შიდა ხარისხის მექანიზმების ამოქმედება, პროგრამის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

რჩევები:

- სასურველია მოხდეს მიზნის იმგვარად ფორმირება მასში არ იკვეთებოდეს სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების საკითხი;
- სპეციფიურ სასწავლო კურსებში მიზანშეწონილია შესაბამისი პროგრამული პაკეტების ინტეგრაცია უახლესი საინფორმაციო-ტექნოლოგიური მიღწევების გაცნობა/შესწავლის მიზნით;
- სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებისათვის საჭიროა სწრაფი რეაგირება 2021 წლის აპრილში ჩატარებულ კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებზე - კონკრეტული სამოქმედო გეგმის დასახვა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება პრაქტიკა/სტაჟირების რაოდენობრივი და ხარისხობრივი გაუმჯობესების კუთხით;
- სასურველია, უსდ-მ უნდა გადახედოს ბიუჯეტში სტუდენტური საქმიანობისთვის გამოყოფილ დაფინასებას. ბიუჯეტის მუხლი „სტუდენტური სწავლის დაფინანსების, გაცვლითი პროგრამების, პრაქტიკის, ექსპედიციის და სხვადასხვა კულტურულ სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ხარჯები“ - დაიცალკევოს კატეგორიებად, რომელიც უფრო გამჭირვალედ წარმოაჩენს ხარჯების სტრუქტურას, და დადგინდება რა დაიხარჯება სტუდენტურ აქტივობებზე. ასევე უნდა გაიზარდოს სტუდენტების კურიკულუმის გარეშე აქტივობების ბიუჯეტი;

- სასურველია, უსდ-მ ბიუჯეტში ასახოს პერსონალის განვითარებასა და ტრენინგებზე ხარჯები;
- სასურველია სხვადასხვა მექანიზმების შემუშავება გამოკითხვებში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ხარისხისა და მოტივაციის ასამაღლებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ ,,ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ 2.1 და 2.3 და 2.6 ქვეკომპონენტებში დაემატა რეკომენდაციები, შედეგად ეს კომპონენტები და მთლიანად მე-2 სტანდარტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. 5.1 ქვეკომპონენტში დაემატა რეკომენდაცია, შედეგად ეს კომპონენტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა ამან არ გამოიწვია მე-5 სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:
1. რეკომენდირებულია, დაზუსტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ინგლისური ენა B2 დონე;
2. რეკომენდირებულია, სირგ სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო სასწავლო მასალის განახლება/შევსება;

3. რეკომენდირებულია, დაზუსტდეს რიგ სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების ფორმულირება კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით;
4. რეკომენდირებულია, რიგი სასწავლო კურსის შედეგები ფორმულირდეს იმგვარად, რომ ურუნველყოფილ იქნეს მათი გაზომვადობა და შეფასება;
5. რეკომენდებულია დასწრების ქულა შეიცვალოს აქტივობის ფორმით და აქტივობისთვის განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები, რუბრიკები;
6. რეკომენდირებულია, რიგ სასწავლო კურსებში შეფასების კომპონენტები და რუბრიკები განისაზღვროს კურსის სპეციფიკის და მისაღწევის შედეგების გათვალისწინებით;
7. რეკომენდირებულია, სასწავლო კურსში „კვლევითი პროექტი“ შეიცვალოს მისი შეფასების სისტემა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #3 ბრძანების (ბრძანება #3, 2007 წლის 5 იანვარი) შესაბამისად;
8. რეკომენდირებულია, გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები, კერძოდ კვლევის მეთოდოლოგიისა და სამეცნიერო სიახლის კომპონენტებში;
9. რეკომენდირებულია, შიდა ხარისხის მექანიზმების ამოქმედება პროგრამის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

რჩევები:

- სასურველია ფაკულტეტმა შეიძინოს მაღალი კონფიგურაციის კომპიუტერული ტექნიკა, რომლებსაც ექნება დიდ მონაცემთა ბაზების დამუშავების ტექნიკური პარამეტრები;
- სასურველია სხვადასხვა მექანიზმების შემუშავება გამოკითხვებში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ხარისხისა და მოტივაციის ასამაღლებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი -

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ ,,სადოქტორო“ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:
1. გამომდინარე იქედან რომ სადოქტორო სემინარი არის სასწავლო კურსი, უნდა შეიცვალოს მისი შეფასების სისტემა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის № 3 ბრძანების (ბრძანება№ 3,2007 წლის 5 იანვარი) შესაბამისად.

რჩევები:

- სასურველია სასწავლო კომპონენტის არჩევითი კურსი „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“ გაერთიანდეს სავალდებულო კურსთან „სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები“ ან ჩანაცვლდეს დოქტორანტების მხრივ უფრო მოთხოვნადი დისციპლინებით;
- იმ საგნების სილაბუსებში, რომლებიც კომპიუტერულ პროგრამებს იყენებენ, სასურველია ჩანდეს ამ პროგრამების სახელწოდება და მათი დანიშნულება კონკრეტული ამოცანების გადაჭრის პროცესში;
- სასურველია უსდ-მ მოახდინოს დოქტორანტურის ხელმძღვანელთა ოპტიმალური დატვირთვის დადგენა, სადოქტორო დებულებაში და შეამციროს დოქტორანტთა რაოდენობა ხელმძღვანელებთან მიმართებაში;
- სასურველია ფაკულტეტმა შეიძინოს მაღალი კონფიგურაციის კომპიუტერული ტექნიკა, რომლებსაც ექნება დიდი მონაცემთა ბაზების დამუშავების ტექნიკური პარამეტრები;
- სასურველია სხვადასხვა მექანიზმების შემუშავება გამოკითხვებში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ხარისხისა და მოტივაციის ასამაღლებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

11 კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საბჭოს წევრებმა ასევე კენჭი უყარეს დაწესებულების შუამდგომლობას მიღებული გადაწყვეტილებების მიმდინარე სხდომაზე, 2021 წლის 14 დეკემბრიდან ძალაში შესვლის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 22:00 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
სხდომის მდივანი
კაჭარავა მაკა